წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. პარასკევი, 22 მკათათვე 1916 წ. № 162

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

**განცხადების ფასი**

ჩვეულებრივი სტრიქონი (პეტიტ) ყოველ გვერდზე პეტიტით ერს 15 კ., ოჯახსაკნელზე—10 კ., [illegible] **ცალკე დებულ განცხადებათა ფასი:** სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ეღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 4 მ.; 20×2 ღირს 8 მ., 25×2 ღირს 7 მ. 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში ეღ. 1 მ. მეტი.

**დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.**

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან.

**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ღრმად დამწუხრებულნი **დედა კნეინა ნადეჟდა დიმიტრის ასული ანდრონიკაშვილისა,** და ძმანი—**თავადის ასული ელენე, თავ. არჩილი, ივანე და სოლომონი სოლომონის ძე ანდრონიკაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პანაშვიდები განსვენებულის ტვერის დრაგუნის პოლკის პრაპორშჩიკის

## თ-დ მერაბ (მიხეილ) სოლომონის ძე ანდრონიკაშვილის

სულის მოსახსენებლად დანიშნულია პარასკევს 22 მკათათვის საღამოს 7 საათზე ქ. თბილისში, სადგურ ნავთლულში. შაბათს 23, დილის 8 საათზედ ცხედარს გაასვენებენ კახეთის რკინის გზით სოფ. **ქოდალოს და კვირას** 24, დღის 12 სათზედ წირვის შემდეგ დაკრძალავენ საგვარეულო აკლდამაში

(1-271-1)

დამწუხრებულნი მშობლები: ზურაბ დიმიტრის ძე თავ. ხერხეულიძე, კნ. ოლღა დარისპანის ასული ხერხეულიძისა, ძმა მიხელ, და სონია, რძალი დარიკო და დეიდა ანნა ელიოზიშვილისა უღრმეს მადლობას სწირავენ დ. თინანეთის საზოგადოებას და ყველა მათ, ვინც მათი ძვირფასი

## გრიგოლ ზურაბის ძის თავ. ხერხეულიძის

გადმოსვენება-დაკრძალვაში პირადი მონაწილეობით, დეპეშით, თუ სხვაფრივ მათი მწუხარება გაიზიარა

ილია მიხეილის ძე ხარაშვილი და მისი მეუღლე მართა ალექსანდრეს ასული შვილებითურთ: კნეინა ალექსანდრა მაჩაბელი, ბარბარე ივანიცკისა, სოფიო ონიაშვილი, მიხეილ, შალვა, გიორგი და ლევანი გულდაწყვეტილნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 24 მკათათვეს, დილის 10 საათზე კუკიის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი დასავლეთის ასპარეზზე მეხისაგან დაღუპულ პირველ ორის შვილი, ხოლო დანარჩენთა ძმის უნტერ-ოფიცერის

## ალექსანდრე (ლექსო) ილიას ძის ხარაშვილის

სულის მოსახსენებლად.

(3—274—1)

გულდამწვარი მშობლები: დავით ილიას ძე და ანნა იოსების ასული, ძმა ერეკლე, ბიძა მღ. იაკობ ილიას ძე, ბიძაშვილი ივლიტა იაკობის ასული და მამიდა ნინო ილიას ასული ჯავაშვილები უგულითადეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათი უსაყვარლესი და დაუვიწყარის გარდაცვალებული

## ფალვა (ფალიკო) დავითის ძის ჯავაშვილის

სულის მოსახსენებლად.

დანიშნულია ორმოცის წირვა 23 მკათათვეს (შაბათს) თბილისის მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში, ხოლო პანაშვიდი წმ. ნინოს სასაფლაოზედ. წირვა დაიწყება დილის 9 საათზედ, ხოლო პანაშვიდი 12 საათ. 1—273—1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)

**პარასკევს, 21 მკათათვეს,**

## ლექცია-კონცერტი ილიკო ქურხულისა

**2 განყოფილებით**

ლექცია-კონცერტზე შესვლა უფასოა. **დასაწყისი საღამოს 9 საათზე.**

(1—188—1) სტუმრები საზოგადო წესით.

## ვაგზლის სამკურნალოში

(**შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით**)

**სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.**

**აგრეთვე ექიმი—ქალი მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს **დედათა ხნეულებით** ავადმყოფთ **დილის 10—11 საათამდე.**

თავადი მალხაზ არჩილის ძე, კნეინა ეკატერინე დიმიტრის ასული და შვილები ნინო, ელისაბედ, ბარბარე და დიმიტრი მალხაზის ძე თავ. ანდრონიკაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს 22 მკათათვეს, საღამოს 7 საათზე თბილისში ამიერ-კავკასიის რკინისგზის სადგურ **ნავთლულში** დანიშნულია პანაშვიდი გარდაცვალებულის პირველთა ძმისწულის და მეორეთა ბიძაშვილის ტვერის დრაგუნთა პოლკის პრაპორშჩიკის

## თ-დ მერაბ (მიხეილ) სოლომონის ძის ანდრონიკაშვილის

სულის მოსახსენებლად.

შაბათს, 23 მკათათვეს დილის 8 ს., კახეთის რკინის გზით მიცვალებულის გვამი სოფ. ქოდალოში წაასვენებენ. კვირას, 24 მკათათვეს დღის 12 ს. წირვის შემდეგ მოხდება მიცვალებულის დაკრძალვა საგვარეულო აკლდამაში. (1-271-1)

## ახალი კლუბი

**შაბათს, 23 მკათათვეს, ახალ კლუბის საზაფხულო შენობაში გაიმართება**

## გენეფისი კლუბის ორკესტრის დირიჟორის მ. ა. ვოლფ-იზრაელისა

**მონაწილეობას იღებენ ოპერის არტისტები: ი. პ. სარაჯიშვილი,** ახალგაზრდა პიანისტი **ფილელმანი,** სკრიპკის დამკვრელი **ვოლფ-იზრაელი, ბ. გესსი** და სიმფონიური ორკესტრი **მ. ა. ვოლფ-იზრაელის** ლოტბარობით.

**გაანყოფილება პირველი: ჩაიკოვსკი**—პატეტიური სიმფონია, **ბეტჰოვენი**—კონცერტი—შეასრულებს **ფიდელმანი გუნო**—ვიოლონჩელით, ფანტაზია ფაუსტიდან შეასრულებს **ვოლფ-იზრაელი.**

**გაანყოფილება მეორე: ნაპრავნიკი**—არია ოპერა დუბროვსკიდან—შეასრულებს **ი. პ. სარაჯიშვილი, ერნსტი** ფანტაზია—**ვოლფ-იზრაელი, ჩაიკოვსკი**—საზეიმო უვერსიურა—1812 წ.

**დასაწყისი საღამოს სრულ 9 საათზე.**

ბილეთები იყიდება კლუბის კანტორაში და შვეიცართან.

(2-187-1)

## განცხადება „ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო ამით აუწყებს

იმ პირთ, რომელნიც იქმნენ არჩეულნი კლუბის არაჩვეულებრივ საზოგადო კრებისაგან ამა თვის 17

## მუდმივ მოსიარულეთ,

რომ თოთხმეტი დღის ვადაში უნდა შამოიტანოს კლუბის კასაში კუთვნილი ფული. უკეთუ ეს პირები არ შამოიტანებენ აღნიშნულ ფულს, კარგავენ უფლებას ბილეთის მიღებისას.

ყოველ გვარი ცნობები მიეცემათ ახალი კლუბის კანტორაში დილის 11 საათიდან შუადღის 3-ს საათამდე და საღამოს 8 საათიდან ღამის 12 საათამდე.

(2—189—1)

## სოლხუმის საბჭოსაგან არჩეული საამოსწავლო საქმეების გამგე კომისია

**ამით აცხადებს, რომ პირველ-დაწყებითი სკოლებისათვის ქალაქი იწვევს**

## ქართულის კარგად მცოდნე ორ მასწავლებელს

**ჯამაგირი წლიური 500 მან.** თხოვნა მიიღება 15 მარიამობისთვემდე.

ქალაქის მოურავი **ნიკო თავდგირიძე.**

(2-185-1)

**პირველ ხარისხოვანი რესტორანი**

## კაფე პარიზი

ახლად მოწყობილი მსგავსად სატახტო ქალაქთა რესტორანებისა.

(სასახლის ქუჩაზე „ახალ კლუბის“ ქვეშ)

**სიცხისაგან თავის შეფარება მხოლოდ „კაფე პარიზში“ შეიძლება.**

**ფასები ყველასათვის ხელმისაწდომია**

**ყოველ დღე მზადდება**

| | |
|---|---|
| **საუზმე** | **ჩაი** |
| **სადილები** | **ყავა** |
| **ვახშმები** | **ხაჭაპური** |
| | **პიროშკები** |

**ადგილობრივი და უცხოური საჭმელები, კარაქზე, გამოცდილ მზარეულის** ხელმძღვანელობით.

**პატივისცემით სილ. ს. გიგიბერია.**

**დოქტორი მედიცინისა**

**მოსე ანთიმოსის ძე**

## კალანდარიშვილი

**უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.**

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ ხნეულებიან** ავადმყოფებს **თიბათვის 15-დან** **იღებს მანგლისში**

**კორპუსის ბანაკში**

**ექიმი**

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

**ყ. ორდინატორი ხარკოვის** უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და **იღებს შინაგან ხნეულებიან** ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის ხნეულებიანს **სპეციალურად,** საღამოს 5—7 საათამდე, **მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.**

**დ. ზესტაფონში**

## ექიმი დ. კ. მაჭავარიანი

**იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე**

**ექიმი**

## მ. ი. ვაჩნაძე

**იღებს ბავშვთა და შინაგან ხნეულ. ავადმყოფებს** მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—9)

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

**—პროვიზორის ახალდედიანისა—**

## ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი **იღებს ავადმყოფებს** კანისა და ვენერიულის **ხნეულებით ყოველ დღე 3—5** საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

**ექიმი-დოხტაძარი**

## გ. მ. მუხაძე

**იღებს ავადმყოფთ** საღამოს 5—6 საათ. **მისამართი:** კუთხე **კიროჩნი** და დიდი მთავრის ქუჩისა, **სახლი** სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

## ვამზადებთ პიროგით

პრაპორშჩიკთა სკოლისათვის. მაცადინეობა დაიწყო. მსურველთა მიღება გრძელდება. პირადათ მოლაპარაკება ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. **მისამართი:** მოსკოვის ქუჩა, **№ 24.** ბინა 1. (თ-128-1)

**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**

**ექიმი**

## ა. დ. შაჰაგაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე ხნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

**თბილისი, 22 მკათათვე**

**როგორ ებრძვიან სიძვირეს?**

საშინელი სიძვირისა და მრავალ სხვა უბედურობის მიზეზად ჩვენმა საზოგადოებამ და თვით მთავრობამაც ვაჭრები გამოაცხადა. აბა, ვინ იტყვის, რომ ვაჭრებსაც არ ჰქონდეს წილი ამ საერთო მტაცებლობაში, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ვაჭრების მადის „ალაგმვა“ ნიხრებითა თუ დარბევებით მდგომარეობას თუ აუარესებს, თორემ მას არაფერს შველის. ნიხრებს აარსებენ თბილისში მოტანილ საქონელზე და ვინ იძიებს როგორი ფასი იქმნა გადახდილი ამ საქონელზე მწარმოებელთან, ფაბრიკებსა და ქარხნებში? ან რა დაჯდა მისი მოტანა ასეთს საშინელს პირობებში, როდესაც თვით მინისტრიც კი იძულებულია ქრთამი გადაიხადოს, რომ გამოწერილი ვაგონი დროზედ მიიღოს?

და განა ამ ორი წლის განმავლობაში მთავრობას არ შეეძლო რკინის გზების მისვლა-მოსვლის და გზებზე საქონლის ზიდვის მოწესრიგება? ვგონებ ამისთვის საკმაო დრო იყო. საქონლის გადატან-გადმოტანის მოწესრიგებას კი დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა. გაადვილდებოდა საქონლის გადატან-გადმოტანა, აღარ იქმნებოდა საჭირო ეს უზომო ქრთამები და ეს გარემოება, რასაკვირველია, თვით ფასებზედაც გავლენას მოახდენდა. ყოველგვარი საქონელი ცოტად მაინც გაიაფდებოდა. ზოგიერთ საქონლის, პირველი საჭიროების საქონლის ფასი კი უთუოდ დიდათ მოიკლებდა.

განა დასაჯერებელია, რომ ზოგიერთ ქალაქებში ვოლგის სანაპიროებზე, რომელიც ჰკვებავს მთელს რუსეთს და წინათ ასობით მილიონ ფუთ პურს სხვა ქვეყნებშიაც კი აგზავნიდა, ამ ჟამად გირვანქა პური 12 კაპ. ფასობს? უზარმაზარ საწყობებში პური უნდა ლპებოდეს და იქვე მახლობლად ის სრულიადაც არ იშოვებოდეს... და იმის ნაცვლად, რომ მთავრობამ და საზოგადოებამ გამოიკვლიონ ამ საშინელი მდგომარეობის მიზეზები, შესცვალონ საჭირო სანოვაგისა და საქონლის გადატან-გადმოტანის, გაცვლა-გამოცვლის სისტემა, ჩვენი მხსნელები ქვეყნის მტრად და დამღუპველად აცხადებენ მეწვრილმანეს, რომელიც ვერ ახერხებს პამიდორის იმ ნიხრით გაყიდვას, რომელიც ქალაქის მამებმა შეიმუშავეს, რომ სოფლის ნაწარმოებს სრულიად ყოველგვარი ფასი დაუკარგონ.

მთავრობის უნარი სიძვირესთან ბრძოლაში ყველაზედ უფრო შაქრის საკითხში გამოაშკარავდა. მთავრობამ ჩამოართვა კერძო მექარხნეებს შაქარი და მიწათმოქმედების სამინისტროს გადასცა, რომ მას უფრო წესიერად გაენაწილებინა ის იმპერიაში. წრეულს შაქარი 20 მილიონი ფუთით მეტი გაკეთდა, ვინემ დაიხარჯა წარსულ წელში. მიუხედავათ ამისა შაქარი თითქმის არსად აღარ იშოვება გასაყიდად. არ იშოვება მოსკოვში, პეტროგრადში, მაგრამ ამის მიზეზად შეიძლება სიშორე ჩაითვალოს—ვიტყვით, იქნებ ვერ მოესწრო ჯერ საკმაო შაქრის გადაგზავნა-თქო, მაგრამ შაქარი აღარ იშოვება თვით ქ. კიევში, როდესაც კიევის გუბერნიაშია მოთავსებული ყველა უდიდესი შაქრის ქარხნები. მთავრობამ მექარხნეებს შაქარი ხუთ მანეთად ჩამოართვა ფუთი, გასაყიდათ კი 10—11 მანეთადაც აღარ იშოვება.

ასე ებრძვიან სიძვირეს ჩვენს **ჯერთხეულ** ქვეყანაში.

## ვოლჟინის ჩამოსვლა და ქართველი საზოგადოების მოვალეობა

ამ ჟამად საქართველოში იმყოფება ბ-ნი ვოლჟინი, უწმიდესი სინოდის ობერ პროკურორი. რუსეთის სატახტო გაზეთები ამ დიდი მოხელის ჩამოსვლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ. ამბობენ, ბ-ნ ვოლჟინს დაკისრებული აქვს დიდი მისიაო. საბუთი არ გვაქვს ამბების მხრივ კარგად გაგებულ სატახტო გაზეთებს არ ვერწმუნოთ. ეს ცნობებიც რომ არ გვქონიყო, ისედაც არ იქნებოდა ძნელი თავის-თავად გვეგულისხმა, რომ ბ-ნი ვოლჟინი ტყუილად არ ჩამობრძანდებოდა ისეთ დროში, როდესაც რუსული ეკლესიის საქმენი და ამასთან ერთად მრავალ-ტანჯული ივერიის ეკლესიის საქმენიც მორიგ საკითხად არიან გადაქცეულნი სათანადო მმართველ წრეებში. ესეც რომ არ ყოფილიყო უწმ. სინოდის ობერ-პროკურორის ჩამოსვლა „ინოროდცების“ ქვეყანაში—თავის-თავად ყოვლად იშვიათი ფაქტი ფრიად საგულისხმოდ უნდა ჩათვლილიყო და ქართველი საზოგადოების გულისყური უნდა მოეზიდნა.

იმის და განუკითხავად, თუ რომელი გულვებაა მართალი, პირველი თუ მეორე, ქართველი საზოგადოება ერთნაირის ხალისით უნდა შეემზადოს ამ სახელწოდ კაცის მისაღებად და მის გამოსაყენებლად ჩვენი საყვარელი ეკლესიის საშველად, რომელიც განძარცულია სულით და ხორცით. მაშასადამე, ქართველ საზოგადოებას, უნდა შესაფერი თადარიგი დაეჭირა, როგორც კი ცხადი შეიქმნა, რომ ბ-ნი ვოლჟინი საქართველოში მოემგზავრებოდა.

როგორც ყოველთვის ამგვარ შემთხვევაში, ქართველ საზოგადოებად ვგულისხმობთ თავად-აზნაურობას, რომელსაც, სამწუხაროა რომ მარტო

მას, ყოველგან მიისვლება და ყოველგან მოუსმენენ, ჩვენ ვგულისხმობთ საქართველოს ქალაქების ქართულ თვით-მართველობის წარმომადგენლებს, ქართველ სამღვდელოებას და ქართულ ინტელიგენციასაც, თუმცა ამ უკანასკნელს ასეთი ოფიციალი წარდგომის არც უფლება ჰქონდა და არც პრეცედენტი. აი ოფიციალ ქართველ საზოგადოებას მართებდა სათანადო თადარიგის დაჭერა და ერთი აზრის, ერთი სათქმელი სიტყვის შემუშავება, რომელ აზრსა და სიტყვას ამავე დროს უნდა ამოეწურა და გამოეთქვა მთელი მართლმორწმუნე ქართველი ხალხის სარწმუნოებრივი გულის ნადები და მოთხოვნილება. იგი სიტყვა უნდა ყოფილიყო ნათელი და მტკიცე, ვინაიდან დასამალავი და ნაქურდალი არც ეკლესია გვქონია და არც რელიგია. ორთავენი მრავალი გმირული თაობის სისხლშია განბანილი და ხმლით ხელში ნათელ მზეზედ მტერთან ბრძოლაში დაცული და განმტკიცებული!

ზემოთ რომ მოვიხსენიეთ იმ თადარიგის დაჭერას მოითხოვდა პოლიტიკური ალღო და სიმწიფე ხოლო ნათელი და მტკიცე სიტყვის დამზადებასა და თქმას მოითხოვს უზადო მამულიშვილობა და მთელი ქართველი ხალხის რელიგიური მოთხოვნილების შეუდავებელი მაღალი კანონიერება.

ჩვენ არ ვიცით,დაიჭირა ეს თადარიგი თუ არა ხსენებულმა ქართველმა საზოგადოებამ, არც ის ვიცით შესწვდა თუ არა იგი ქართველის გატანჯული რელიგიური სულის მაღალ აღშფოთებას, მაღალ სისპეტაკეს და გამოსჭედა თუ არა სათქმელად სიტყვა **მართალი** და **უშიშარი**, თავის სინდისთან შეუვაჭრებლად, გარეშე ყოველგვარის ანგარიშისა და ანგარებისა?!

ჩვენ არ ვიცით, ვიყოთ გულდამშვიდებული, და მივენდოთ, ეჰა, ვინც არა ერთხელ გამოაჩინა სულმდაბლობა—ზნე გმობილი საქართველოს ეროვნული ზნეობისგან,—... თუ ვიშფოთოთ და ვიდრტვინოთ, თავზე ნაცარი ვიყაროთ და ვსთქვათ „არ გამოვალს სიკეთე საზოგადოებისა ამისაგანაო?!!“

ჩვენ, ქართველთა სიმრავლე, არ ცნობილი და არც არსად მიღებული, გამოუცნობს ყოფნაში ვართ, ხოლო რაც ამ „საზოგადოების“ ახლო წარსულიდან ვიცით, ის სწამლავს ჩვენს სულს, ეჭვებით გვავსებს და გულს გვიტეხს.

და რა ვიცით?!

ვიცით, რომ თავად-აზნაურთა წარმომადგენლებმა და მიღებულმა სამღვდელო პირებმა ადგილობრივ მთავრობის ყურამდე მისატან სიტყვაშიაც ვერა სთქვეს Conditio sine qua non მთელი ქართველი ხალხის რელიგიური ცხოვრებისა.

ვიცით, რომ ქართველმა მაღალმა სამღვდელო პირებმა თავიანთ უფროსს, დღეს საქართველოს ეკლესიის მეთაურს, ვერ გაუბედეს არა ოფიციალ შეკითხვის დროსაც ეთქვათ მართალი სიტყვა და ეცნობებიათ, თუ რას ფიქრობს **და** რას მოითხოვს ეკლესიის საკითხში მთელი ქართველობა. ალბათ თუ, ამბოხება არ დამწამონო და ზოგმა ავტოკეფალობა სრულიად საჭიროდაც არ სცნო, ზოგმა, მართალია, პრინციპიულად აღიარა ჩვენი ეკლესიის უფლებრივი აღდგენა, მისი ავტოკეფალობა მაგრამ ჯერ იგი საჭიროდ არა სცნო, უდროვოდ ჩასთვალა. ამ ავტოკეფალობის „უდროობა“ ალბად მანამ გასტანს, ვიდრე იცოცხლებენ და სამსახურში იქნებიან ამ ავტოკეფალობის პრინციპიული მომხრე ქართველი სამღვდელო პირები. ურჩობის ეჭვი არავინ აიღოსო და თავი მონებად დასახეს!!

დაცვით კი არავინ დაიცვა ივერიის ეკლესიის სამღვთო უფლება და ჩვენი ხალხის სარწმუნოებრივი აღორძინების პირველი და უკანასკნელი პირობა!!

ეს ვიცით, ნეტამც არ გვცოდნიყო!!

ვიცით რომ ქართველი ქალაქების თვითმართველობები თუ სხვა ქართული კულტურული დაწესებულებანი საკუთარის თაოსნობით ხმას არას დროს არ იღებენ, ვიცით რომ მათ არ აქვთ ეროვნული მოქმედების არც გეგმა და არც იდეა! ნეტამც არც ეს გვცოდნიყო!

ნუ თუ მიუხედავად ყოველივე ამისა, ეს ქართველი საზოგადოება დღეს მაინც, უფალი ვოლჟინის ჩამოსვლის დროს, გამოიჩენს სათანადო პოლიტიკურს ტაქტს, საჭირო მამულიშვილობას და სიმტკიცეს. ნუ თუ იგი გულმართლად, დაუფარავად ეტყვის უფალ ობერ-პროკურორს ივერიის ეკლესიის ერთად ერთ სათქმელს, რომ მას სურს წელში გასწორდეს და აღსდგეს თავის უფლებით და ქონებით. ნუ თუ ეს ჩვენი საზოგადოება შესძლებს წარხოცოს თვის წარსულის მწარე მოგონებანი და დაიწყოს ახალი ხანა, ახალი ცხოვრება?!

ნუ თუ?!

**ძველი ქართველი.**

## ვოლჟინის ჩამოსვლის გამო

თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას რომ ამ მიმდინარე წლის განმავლობაში საეკლესიო რეფორმების საკითხმა რუსეთშა მთავრობისა და კერძო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, თუ სახეში ვიქონიებთ რომ კერძოდ საქართველოს ეკლესიის საკითხი უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მთავრობის წინაშე სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა სახით იყო წამოყენებული, რომ მან თვით მეფის ყურადღებაც კი საგანგებოდ მიიქცია, თუ სახეში მივიღებთ იმ გარემოებას რომ ჯერ ეჭზარხოს და შემდეგ მიტროპოლიტ პიტირიმის მეცადინეობით საქართველოს ეკლესია ზოგჯერ საგანგებო ბჭობის საგანიც კი იყო სინოდსა და მთავრობის სხვა მაღალ წრეებში, თუ იმასაც ანგარიშს გაუწევთ რომ მთელი ქართული პრესა და საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას უძღვნიდა საეკლესიო საკითხს, რომელიც მისთვის უაღრესად კულტურულ სარწმუნოებრივი საკითხია,—თუ სახეში იმ გარემოებასაც ვიქონიებთ, რომ, რაც ომი გამოცხადდა, ჩვენმა ქვეყანამ მრავალი მსხვერპლი შესწირა საერთო საიმპერიო მოვალეობას, და რომ მის უფლებრივ შეზღუდვას არავითარი უმჯობესობა არ დასტყობია და არც არავინ არაფერს პირდება, რომ, მეორეს მხრით, შეუძლებელია ამ დიდს მომენტში მთავრობამ სრულიად უყურადღებოდ დასტოვოს ქართველობა და მის მოთხოვნილებათაგან უადვილესი მაინც არ დაკმაყოფილოს, თუ ყველა ამას სახეში ვიქონიებთ,—მაშინ უნდა ვიფიქროთ რომ უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორი, ვოლჟინი ასეთ ისტორიულ დროში, როდესაც ყოველი დიდი სახელმწიფო კაცის ნაბიჯს განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა აქვს, ტყუილ უბრალოდ არ ჩამოვიდოდა ჩვენს ქვეყანაში, პირიქით, მთელი რიგი მოსაზრება იმას გვეუბნება რომ ბ-ნი ვოლჟინი ჩამობრძანდებოდა პირველი შთაბეჭდილების მისაღებად და ქართულ ეკლესიის საკითხის გასაცნობად ადგილობრივ, ამავე ეკლესიის სულიერ-რელიგიურ ნაშთთა შორის, აქვე, ქართველ საზოგადოებისა და სამღვდელობის წრეში.თუ ეს ჩვენი წინასწარი, მოსაზრებანი მართალია, მაშინ ყველასათვის ცხადია, თუ რა დიდი პასუხის გება აწევს იმ ქართველ საზოგადოებას, რომელიც დღევანდელს პირობებში ოფიციალი წარმომადგენლობის როლს თამაშობს, და რომელმაც უნდა მიიღოს სინოდის ობერ-პროკურორი. ბატონი ვოლჟინი ძალიან გაცნობილიც რომ ბრძანდებოდეს ქართულ ეკლესიის საკითხთან, აქ ადგილობრივად, ქართველთა ქვეყანაში და ქართველ საზოგადოებისა და სამღვდელოების წრეში მას ბევრი ისეთი ცნობის მიღება შეუძლიან, რომელსაც, შესაძლებელია, გადამწყვეტი მნიშვნელობაც ექმნეს ჩვენი ეკლესიის საკითხში.. ამიტომაც ფრიად საჭირო იყო შეგნებული და მოწინავე ქართველი საზოგადოება მომზადებული დაბვედროდა ბ-ნ ვოლჟინის ჩამოსვლას. ქართველ საზოგადოებას და სამღვდელოებას ამ საქმეში ბევრი მსხვერპლის გაღება არ დასჭირდება მათგან არავითარი თავდადება საჭირო არ არის. საქმისთვის ისიც საკმარისი იქნება, რომ ხსენებულმა საზოგადოებამ შეასრულოს კეთილშობილი ადამიანის უბრალო მოვალეობა: დაუფარავად და გულახდილად მოახსენოს უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორის მთელი მორწმუნე ქართველი ხალხის გადაუდებელი მოთხოვნილება, რომ განძარცულ ივერიის ეკლესიას დაუბრუნდეს თვისი უფლება და ქონება, რომ ქრისტეს ეს ძველის-ძველი ეკლესია აღდგეს და შეიმოსოს კუთვნილის დიდებით. დრო არის ქრისტეს სჯულის წინაშე იშვიათად დამსახურებული ქართული ეკლესია სხვა ქრისტეს ეკლესიებს მაინც გვერდში ამოუდგეს. თანასწორი და უფლება მოსილი. ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დაიჭერს თავს ქართველი საზოგადოება და რამდენად გონიერ და მოფიქრებულ ნაბიჯს გადასდგამს.

ჩვენი ზემო ნაგულვები მოსაზრებანი მართალნიც რომ არ გამოდგნენ, იმ შემთხვევაშიც დიდი მნიშვნელობა ექმნება, ვოლჟინის ჩამოსვლის გამო, ქართველი საზოგადოების ამოქმედებას და ვოლჟინის შესაფერი ნაბიჯების გადადგმას.

ნუ თუ უნდა ვშიშობდეთ, იქნება ქართველმა საზოგადოებამ ეს შემთხვევა სათანადოდ ვერ გამოიყენოსო!

**მეგობარი.**

## მოსკოვის ბანკი და „თან. აზრი“

ჩვენს გაზეთში დასტამბულ წერილებს შესახებ ჩვენში მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილების გახსნისა გამოეკამათა ბ-ნი კ. კანდელაკი „თანამედროვე აზრის“ ფურცლებზე.

საყურადღებოა, როგორც ცნობა, პატივცემული ავტორის სიტყვები: „მოსკოვის სახალხო ბანკს არავითარი განყოფილების გახსნა თბილისში არ გადაუწყვეტია. მოიწვია მხოლოდ ინსტრუქტორი ამიერ - კავკასიისთვის (თქვენი უმორჩილესი მონა)“ და სხ.

რაც შეეხება ბ-ნ კ. კანდელაკის ჩვენთან გამოკამათებას შესახებ მოსკოვის ბანკისა, უნდა აღვიაროთ, რომ ეს სრულიად გაუგებრობაზედ უნდა იყოს აღმოცენებული, ვინაიდან ჩვენი მოკამათე არსებითად არც კი შეხებია სადავო საკითხს.

ბ-ნი კანდელაკი, როგორც სჩანს, დიდ კადნიერებაში გვართმევს, რომ მოსკოვის ბანკის განყოფილების გახსნის შესახებ შემდეგი მოსაზრებები გამოვთქვით: „მოსკოვის ბანკი ახლაც და შემდეგაც უცხოელების ბანკი იქნება, რომელსაც ჩვენი ადგილობრივი ინტერესები ყოველთვის უკანასკნელ საფეხურზედ ექმნება დაყენებული. ამის მაგალითი შაბიამანის საკითხია. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ შაბიამანის გამოწერას მოსკოვის ბანკი ფრიდონოვის კანტორაზე უფრო ცუდათ არ მოაწყობდა, რომ შაბიანი მოსკოვის და მის ახლო-მახლო კოოპერატივებს ისე სჭირვებოდა, როგორც ჩვენი კოოპერატივების წევრებს. ამ თვალთსაზრისით, თუ შევხედავთ, ყველაზედ უფრო სასარგებლო ჩვენთვის ის იქნება, თუ ჩვენი კოოპერატივები თავის ბანკს გახსნიან“. (იასონ ლორთქიფანძის წერილი „საქ.“ № 156).

ამის შემდეგ ჩვენ მიუთითებდით იმ მოვლენაზედ, რომ ჩვენ კოოპერატივებს, სანამ ისინი თავიანთ ბანკს დაარსებენ, სესხი ადგილობრივ ეშოვებათ. არსებობს ქართული სასოფლო-სამეურნეო ბანკი, რომელსაც თავისუფალი თანხები მოეპოვება და ამ მოკლე ხანში არსდება დიდი კომერციული ბანკი, რომელსაც აგრედვე შეუძლიან ჩვენს კოოპერატივებს სესხი მიაწოდოს. „ჩვენი ბანკის მოქმედება, რასაკვირველია, უფრო შეთანხმებული იქმნება ადგილობრივ მოთხოვნილებასთან, ვიდრე მოსკოვის ბანკის განყოფილებისა, რომელმაც უნდა იხელმძღვანელოს მოსკოვიდან გამოგზავნილი დირექტივებით და თავისი ოპერაციები შეზღუდოს მთავარ გამგეობის ინსტრუქციებით“. (ი. ლ.) ბანკის საქმე ქველმოქმედებაზე შეუძლებელია დამყარდეს. სანამ მოსკოვის ბანკის საქმე ახალი ხილია, დათმობა და თავაზიანობა შესაძლებელია, მერე კი როცა საქმე გაიზრდება, ამ ქველმოქმედებას და თავაზიანობას ადგილი არ ექნება და მათ მაგიერ საქმეში გაბატონდება უმთავრეს და უმახლობელეს აქციონერთა ინტერესი“ (ი. ლ.). ყველა ამ მოსაზრებების მიხედვით ჩვენ ვსწერდით: „უთუოდ სასურველი არაა, რომ მოსკოვის სახალხო ბანკის განყოფილება ასე ნაჩქარევად და ცენტრიდან მომხდარ განკარგულებით გაიხსნას. ჩვენმა კოოპერატივებმა უნდა იქონიონ ამ საკითხზე მსჯელობა და ეს საგანი ყოველმხრივ უნდა გამოარკვიონ“. (მეთაური).

თუ აქ გამოთქმული აზრები ბ. კანდელაკს შემცდარად მიაჩნდა, საჭირო იყო, მათი უარყოფა და დარღვევა. ის კი ასე არ იქცევა. ბ. კანდელაკი ჩვენ მიერ დაწერილს აუმხედრდა და ამავე დროს ის ვერც ჩვენი ნათქვამის სავსებით უარყოფას კისრულობს და ვერც საწინააღმდეგო აზრს ამტკიცებს. ის არც კი ეხება არსებითად სადაო საკითხს და ორიოდე ფრაზის თავისებური კომენტარიით კმაყოფილდება.

საკუთარი საკოოპერაციო ბანკის შესახებ ბ. კანდელაკი სრულს უიმედობას შეუცავს. „უნდა ვეცადოთ ადგილობრივ კავშირებისა და საკოოპერაციო ბანკის დაარსებასაც, მაგრამ ჯერ-ჯერობით ერთი საკრედიტო კავშირი ხომ ჩვენივე ხელით ჩავშალეთ და მეტს ვერ ვხედავთ ახლო მომავალში“. სრული სიმართლეა, რომ ბევრი რამ ჩვენივე ხელით ჩავშალეთ და გავაფუჭეთ, მაგრამ რა გაეწყობა, ხელ ახლა უნდა შეუდგეთ მუშაობას და ვეცადოთ საქმის გამოგვარებას. ბ. კანდელაკი სწერს: „ნეტავი მაჩვენა ჩვენში მოღვაწე, რომელიც გულწრფელად აღიარებს, რომ ეხლავე შესაძლებელია ჩვენში შექმნა ისეთი **საკოოპერაციო ბანკის, რომელიც სახალხო ბანკის მოქმედებას ჩვენში ზედმეტად ჩასთვლის**, და იმავე დროს შესძლებს დაკმაყოფილოს სავსებით ჩვენებურ კოოპერატივთა მოთხოვნილებანი!“ ჩვენ გვგონია ბ. კანდელაკი თუ კი მოისურვებდა, ერთსა და ორს მოღვაწეს მარტო არ გამონახავდა ჩვენს ქვეყანაში, რომელნიც გულწრფელად აღიარებდნენ ჩვენ კოოპერატივთა ერთი საერთო საკრედიტო კავშირის დაარსების შესაძლებლობას.

იქნებ შეუძლებელიც იყოს დღევანდელ პირობებში ასეთი დაწესებულების მოწყობა. ვინ იცის და ვინ იზრუნა ამის შესახებ? ეს კია, რომ თუ მისი მოწყობა მოხერხდება, რომ ის უფრო საიმედო და სასარგებლო იქმნება ჩვენი ქვეყნისთვის, ვინემ, მოსკოვის ბანკი, ამის უარყოფას ვგონებთ თვით მოსკოვის ბანკის მესვეურებიც კი ვერ იკისრებენ. რასაკვირველია, ძნელი დასამტკიცებელია რომ ასეთი ბანკი, თუ კი დაარსდა, მოკლე მომავალში „შესძლებს დაკმაყოფილოს სავსებით ჩვენი კოოპერატივთა მოთხოვნილებანი“.

განა ბ-ნი კანდელაკი კი იკისრებს თავდებობას, რომ მოსკოვის ბანკის განყოფილება **სავსებით დიაკმაყოფილებს** ჩვენი კოოპერაციის მოთხოვნილებებს?

ჩვენ მოსაზრებას, რომ უცხოელი ბანკისთვის ჩვენი მოთხოვნილებანი და საჭიროებები ყოველთვის უკანასკნელ საფეხურზედ იქმნება დაყენებული, ჩვენი მოკამათე ასეთი საბუთით არღვევს. „თუ სახალხო ბანკი განყოფილებას გახსნის და ჩვენს ინტერესებს ანგარიშს არ გაუწევს, რა თქმა უნდა, ჰაერში ჩამოეკიდება. იგი იზარალებს და არა ჩვენ“. განა ცოტაა ჩვენს ქვეყანაში უცხოელების ბანკები, რომელნიც ჩვენს ინტერესებს ანგარიშს არ უწევენ და მხოლოდ თავის ინტერესებს ემსახურებიან და ამის გამო ისინი არც ჰაერში ჩამოკიდულან და არც უზარალნიათ, არამედ მხოლოდ ჩვენი ეკონომიური ვითარება დაუზარალებიათ?

ბ. კანდელაკი ჩვენს ნაწერებში ამ საგანზედ რაღაც საიდუმლო ზრახვების აღმოჩენასაც კი სცდილობს.

„დასასრულ ერთ გარემოებასაც მივაქცევ ძალაუნებლივ ყურადღებას, სწერს ის. წინადაც არსდებოდა და ამ უკანასკნელ დროსაც დაარსდა ჩვენში უცხო სააქ. ბანკები, რომელთაც გარეშე მოგებისა ვერავინ იტყვის რაიმე აინტერესებდეს ჩვენში. მაგრამ ამ ბანკებს ჩვენებურ „სავაჭრო-სამრეწველო ბანკების მოღვაწეთა“ ყურადღება ოდნავადაც არ დაუმსახურებია. განსაკუთრებით ყურადღების და დატუქსვის ღირსი გახდა მხოლოდ ბანკი, რომელსაც ქალაქდზედაც არ დაუწერია, **სამწუხაროდ**, (კურსივი ჩვენია) ჩვენში განყოფილების გახსნა და მხოლოდ **კოოპერატორთა** აქციონერთა უმრავლესობის (მოსკოვის აქციონერთა, თუ ქართულ კოოპერატივთა?) **დადგენილების თანახმად** (კურსივი ავტორისაა) თუ გადასდგამს ოდესმე ასეთ ნაბიჯს“. სრული სიმართლეა. მაგრამ მიზეზი ამისი? ბ-ნი კანდელაკი ამას არ ეძიებს, მხოლოდ იქვს გამოთქვამსს და კითხვითი ნიშანს სვამს. ჩვენ არ გვსმენია, რომ რომელიმე ბანკს ისეთი პრეტენზიებით შემოედგას ჩვენში ფეხი, როგორც ამას აპირებს მოსკოვის ბანკი. არც ერთს ბანკს არ უფიქრია, რომ ის „შესძლებს დაკმაყოფილოს სავსებით ჩვენებურ კოოპერატივთა მოთხოვნილებანი!“, არავის არ დაუწყია მტკიცება, როგორც ამას ნებულობს ბ. კანდელაკი მოსკოვის ბანკის შესახებ, რომ ახლად გახსნილ ბანკს „არ შეიძლება პირველ პლანზე მოგება ჰქონდეს დასახული“. ნუ თუ ბ. კანდელაკისთვის საჭიროა იმისა მტკიცება, რომ ბანკი, ყოველგვარი და ყოველნაირი ბანკი, სააქციონეროა ის თუ კოოპერატიული, საადგილ-მამულო თუ კომერციული, სავაჭრო დაწესებულება არის და მის საფუძველს და მიზანს მოგება შეადგენს. აბა ჰკითხოს ბ. კანდელაკმა მოსკოვის ბანკის აქციონერებს გადასდებენ ისინი თავის დივიდენდს თუნდაც ღარიბ კოოპერატივების, მათი ამხანაგების, მოსაღონიერებლად, გასამაგრებლად? დასთმობენ ისინი თავიანთ მოგებას ქართულ კოოპერაციის საჭიროებისთვის?

არც ყოველგვარ „უცხოს“ ვებრძვით ჩვენ. ბ. კანდელაკთან ერთად „ჩვენც არავითარ საფრთხეს არ ვხედავთ საზოგადოთ უცხო კაპიტალში, **თუ იგი ადგილობრივ მწარმოებელ ძალთა განვითარებას უწყობს ხელს** (კურსივი ავტორის) და არა მტაცებლობის მეურნეობას ეწევა“. **არამც თუ „საფრთხეს“, არამედ დიდს იმედსაც ვამყარებთ ჩვენ ისეთს უცხო კაპიტალზედ, რომელიც ოთხს და ხუთს პროცენტ მოგებას დაკმაყოფილდება და** რომლის შემწეობით ჩვენ ავამოძრავებთ და გამოვიყენებთ დღეს ჩვენთვის გამოუსადეგარ ჩვენი ქვეყნის უთვალავ ბუნებრივ სიმდიდრეს. მაგრამ ჩვენ სულ სხვანაირად ვუცქერით ისეთს კაპიტალს, რომელსაც თან მოსდევს უცხო პოლიტიკა და იდეალები, რომელიც ეკონომიურ პოლიტიკაზედ უფრო, შესაძლებელია ნამდვილი „პოლიტიკა“ და განაპირა ქვეყნების საწინააღმდეგო თუ მავნე პოლიტიკას აწარმოვებს. „როცა მოსკოვის სახალხო ბანკს ეკამათებოდენ, როგორც ცენტრალურ დაწესებულებას-თქვენ ცენტრალისტები ხართ, შორეული ადგილიდან არ შეგიძლიანთ განაპირას ემსახუროთო, ეგ ჩვენთვის ადვილი გასაგები იყოვო, სწერს ბ. კანდელაკი. განაპირა ქვეყნებს უსათუოდ ესაჭიროებათ საკუთარი, ახლო მყოფი, საკოოპერაციო ბანკიცა და საკოპერაციო კავშირებიც. ცენტრალური დაწესებულება იმათ მაგიერობას სავსებით ვერ გასწევს“. ეს კარგი, მაგრამ სანამ განაპირა ქვეყნები ვერ ახერხებენ საკუთარი ბანკების გახსნას, რად „ეკამათებოდენ ისინი მოსკოვის სახალხო ბანკს, როგორც ცენტრალურ დაწესებულებას—თვენ ცენტრალისტები ხართ, არ შეგიძლიათ განაპირას ემსახუროთო? აკი ბ. კანდელაკი ჰფიქრობს, რომ სანამ ჩვენ საკუთარ ბანკს არ დავაარსებთ, მოსკოვის ბანკის განყოფილება ჩვენთვის ბედნიერებაა. როგორც სჩანს მოსკოვის ბანკის მოკამათენი სულ სხვა აზრის ყოფილან ამ ბანკის განაპირა ქვეყნებში მუშაობის შესახებ და ეს ბ. კანდელაკისათვის არც მთლად ისე „ადვილი გასაგები“ ყოფილა, როგორც გვარწმუნებს.

**ი. ვაშაძე.**

## ფენიშვნაგი ჭიათურის შავი ქვის შესახებ*)

ჩვენს სამშობლოში უცხო კაპიტალის შემოჭრის შესახებ ბევრი ითქვა: ბევრი სამელნე დააშრეს იმის მტკიცებაში, რომ უცხო კაპიტალს შეუძლიან დიდი სიკეთე მოუტანოს ჩვენ ქვეყანას, მაგრამ იმას კი არავინ კითხულობდა არის თუ არა ჩვენი ხალხი ამისთვის მომზადებული რომ უცხოეთის მსხვილ კაპიტალს თავი არ დაეჩაგვრინოს. ერთს ნაწილს ინტელიგენციისას ისე აქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი საერთაშორისო სოლიდარობისა და კოსმოპოლიტობის გრძნობა რომ მისთვის სულ ერთია ვინც უნდა შემოვიდეს ჩვენს ქვეყანაში: ყველას თანაგრძნობა უნდა გამოუცხადოს, იმისდა მიუხედავად მავნებელია ეს ახლად შემოსული თუ სასარგებლო. გამოდის რომ უცხო კაპიტალისტი რომ გიმდიდრდება ჩვენში, იმ დიდს სიმდიდრეს, რომელიც ჩვენი სხეულიდან ამოგლეჯა აქვე დაგვიტოვებს და თითონ კი კახურ პაჭიჭებს და იმერულს მესტებს ჩაიცვამს, ჩვენებურის ხმალხანჯლით აღიჭურვება და გაუდგება ჯიბე ცარიელი საზღვარგარეთისაკენ რომ იქ ქართული კულტურის პროპაგანდა გასწიოს.

ამნაირად ჩვენი კოსმოპოლიტური ინტელიგენცია აკაკისებურს სამართებელს გვიმზადებს. უცხო კაპიტალისტების მუხრუჭებს გვიქადის: იმისოვის კი თავს არავინ იცხელებს, რომ ხალხი მაინც მოამზადონ ამისთვის, რომ იცოდნენ, თუ როგორ მოიხმარონ უცხო კაპიტალი და რანაირად შეხვდნენ მას. სამაგიეროდ იერიშები მიაქვთ შინაურს ნორჩ კაპიტალზე და ფეხაუდგმელ ქართველ კაპიტალისტებზე. ამიტომ უცხო კაპიტალს მოქიშპე თითქმის არ ჰყავს, არხეინად ყვლეფს ქართველობას და სიმდიდრეს თავისი ქვეყნისაკენ მიაქანებს. საუკეთესო შემთხვევაში მანეთში ერთ კაპეიკს გვაჩუქებენ, დანარჩენს 99 კაპეიკს თითონ ჩა ჩხრიალებენ! ამნაირად თანდათანობით გაგვატიტვლებენ და მერმეთ სამასხაროდ გაგხვდიან თუ დროზე არ გამოვფხიზლდით და თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებები არ შევისწავლეთ.

მაგრამ ამ უცხო კაპიტალისტებშიაც დიდი განსხვავებაა. გერმანელი, ფრანგი და ინგლისელი კაპიტალისტი შემოდის ჩვენს ქვეყანაში—განვითარებული ტეხნიკით [illegible], საკმაოდ ბენ ჩვენის უვიცობით და საწყალ ფურად გხვდიან, მაგრამ კიდევ ღვთისწყალობამ ჩვენისთანა უპატრონო და უვიცი ხალხისთვის, ფანტასტიური კოშკების მეტი რომ არაფერი სწამს და მხოლოდ წაბაძულებით შეუძლიანთ რისამე გაკეთება. რაც უნდა იყოს დასავლეთ ევროპის კაპიტალი ჩვენს კერას არ ანგრევს და ჩვენს ტერიტორიას არ ანიავებს: ის ჯერ-ჯერობით ჩვენი დოვლათის მითვისებით კმაყოფილდება. ამას გარდა ევროპიულ კაპიტალს თან მოსდევს უმაღლესად განვითარებული ტეხნიკა, რომელიც ჩვენი ქვეყნის ფარული სიმდიდრის გამოაშკარავებას ხელს უწყობს.

ნამდვილი უბედურება იმ კაპიტალისტთა შემოჭრაა, რომელნიც ჩვენში შემოდიან არა მანქანებით და ელექტრონით აღჭურვილნი, არამედ ჯალაბობის თანხლებით და მთელი ჩვენი მამულ დედულის მითვისებას ლამობენ.

ეს ის კაპიტალისტები არიან, რომელნიც ყოველგან ფეხდაფეხ გვსდევენ, აჩრდილივით ცდილობენ ჩვენს გადახალისებას, რასაც თითონაც აღარ მალავენ და პირდაპირ მოურიდებლად გვემუქრებიან გადაყლაპვას. ესენი გახლავთ ჩვენი ფხიზელი მეზობლები, სომხები, რომელთაც დევიზათ აქვსთ არაფერი დაინდონ, რაც კი მათი ხალხისა და სამშობლოსთვის პიედესტალად გამოდგება და ყოველთვის იმის ცდაში არიან, რომ სხვის უბედურობაზე საკუთარი ბედნიერება ააგონ. ეჭვი არ არის რომ თუ ამ ჩვენმა მტერ-მოყვარეებმა ჭიათურასა და ქუთაისის გუბერნიაში მოიკალათეს, სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვოთ ჩვენი სამშობლოს ამ უკანასკნელ თავშესაფარს, რომელიც აქამდის დაცული იყო მათი იერიშებისა და შემოსევისაგან. თუ მათ ხელში ჩაიგდეს ის ულეველი ოქროს მადანი, რომელიც ჭიათურის შავი ქვის მრეწველობაა, საბოლოოდ უნდა გამოვეთხოვოთ ჩვენი ქვეყნის ამ კუთხეს: ჩვენი იქ ყოფნა არ ყოფნას დაემსგავსება. განდევნილი იქნებიან არა მარტო ქართველი მრეწველები, არამედ მშრომელი ხალხიც, გლეხიც და თავად-აზნაურობაც. ეს მათებური პოლიტიკა ცნობილია და ადვილად დასანახი ყველასთვის, ვინც კი სომხის ბურჟუაზიას საკუთარი თვალით უყურებს და არა სოციალისტური ვარდისფერი სათუალეებით. სომხებმა რომ ეჩმიაძინი, ვანი და ერევანი დაიცვან თავგამოდებით ქართველების და სხვათა შესევისაგან, ეს ელემენტარული სამართლიანობა იქნებოდა და ასეთს ყოფაქცევას ვერავინ უსაყვედურებდა. როგორც კერძო ადამიანმა, ისე ხალხმა ანუ ერმა თავის ვინაობა და თავისებურება უნდა დაიცვას გარეშე ძალთაგან: ამას მოითხოვს ცხოვრების კანონი. არც ერთი კეთილ სინდისიერს და გულწრფელს სომეხს აზრათაც არ უნდა მოუვიდეს ჩვენი გაკიცხვა იმისთვის რომ თავგამოდებით ვიცავთ ისეთს ეროვნულს განძს, როგორიც არის ჭიათურის შავი ქვის მადნეულობა.

ეს გარემოება კარგად შეიგნეს ჩვენმა ახალგაზრდა მოღვაწეებმა: მათი მიზანია თავის აღმზრდელ ერს შეუნარჩუნონ დაუფასებელი განძი და სიმდიდრე. და ამისთვის ეწევიან ფართე კამპანიას გაზეთის ფურცლებზე. ისინი რომ ასე არ მოქცეულიყვნენ, პასუხის მგებელი იქნებოდნენ ისტორიის წინაშე და მომავალი თაობა მათ წყევლა-კრულვით მოიხსენიებდა. ამიტომ ჩვენ, ვინც პრაქტიკულ საქმიანობაში ვართ გაბმული, მოვალენი ვართ ამ იდეურ მებრძოლთ მხარში ამოუდგეთ და მივსცეთ ძალა იშრომონ ხალხისა და ერის საბედნიეროდ. ამ საბედისწერო საკითხში ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს: ვინც ჩვენთან არ არის ის, ჩვენი ერის მტრებთანაა. სხვა ნაირად არ შეგვიძლიან ავხსნათ ზოგიერთი მოღვაწის ქცევა, რომელნიც იუდასავით ხელს იბანენ და გაიძახიან: „ეს ჩვენი საქმე არ არის და ჩვენ არ შეგვეხებაო“. როგორც არ შეიძლება რომ დედის ჭირვარამი ღვიძლს შვილს არ შეეხებოდეს, ისე არ შეიძლება რომ სამშობლოს ბედისწერა არ შეეხებოდეს შეგნებულ მამულიშვილებს.

გვახსოვდეს რომ ამ ქვეყანაზე სხვა საქართველო არსად არის და თუ არსებობს გვწადიან შევინარჩუნოთ.

**ი. გველესიანი.**

*) რედაქცია სასიამოვნო ვალდებულად სთვლის აღნიშნოს, რომ ამ წერილის ავტორი ეკუთვნის არა პროფესიულ ლიტერატორთა ჯგუფს, არამედ ქართველ ვაჭარ-მრეწველთა წრეს. ამიტომ მისი ხმა დიდი პრაქტიკული **საკითხის გადაწყვეტაში განსაკუთრებით საგულისხმიეროა.**

# ქართველ სამღვდელოების საეკლესიო სიძველეთსაცავის გარშემო

ქართველ ერის მტრებს თხუთმეტ-თექვსმეტი წლის წინად არაფრად ეჭაშნიკებოდათ ის გარემოება, რომ მას ჰქონდა ძველი მდიდარი კულტურა. ამ კულტურის უტყუარ ძეგლად, სხვათა შორის, ითვლება **ძველი ქართული წერილობა** ნათარგმნი და ორიგინალური (დედნური). 1888 წლიდან ისტორიკოსის დიმ. ბაქრაძის მეოხებით თბილისის სიონის ტაძრის ეზოში დაარსდა სიძველეთსაცავი, რომელშიც წლითი-წლად თავს უყრიდნენ ქართულ ხელნაწერებს და სხვა საარქეოლოგიო ნივთებს. ბოლო ხანებში ხელნაწერთა რიცხვი გაიზარდა. სიძველეთსაცავი გაიცნეს მეცნიერებმა და დიდ ხარისხის გვამებმა. მათ სხვა და სხვა დროს გამოსთქვეს თავისი აზრი იმის შესახებ. თითოეული მათგანი აღტაცებაში მოდიოდა ქართულ სიძველეთსაცავის სიმდიდრით და მისი მნიშვნელობით საზოგადო მეცნიერებისათვის. სხვათა შორის საქართველოს აწინდელი ექსარხოსი მაღალ ყოვლად უსამღ. პლატონი 1903 წელს, მაშინ კიევის სასულიერო აკადემიის რექტორი, აღტაცებული დარჩა ამ სიძველეთსაცავის ნახვით. მათმა მეუფებამ ჩასწერა მნახველთა წიგნში ფრიად შესანიშნავი სიტყვები სიძველეთსაცავის სიმდიდრის და სამეცნიერო მნიშვნელობის შესახებ. ეს სიტყვები თავის დროზე გამოქვეყნდა პრესაში. მსგავსი გარემოება მოსვენებას არ აძლევდა ქართველთა მტერს ვოსტორგოვ.. ის მოურიდებლად ეძახდა ქართულ სიძველეთსაცავს „ფარატინების და ძველძულების საცავს“... ცნობილ დეკანოზს სიდამბლე მოსდიოდა და ფრთა ეკვეცებოდა, როდესაც საქართველოს ეკლესიის წარსული დიდების შარავანდედით იმოსებოდა და მეცნიერთა წინაშე დაუჭკნობელ გვირგვინით სიმართო მედიდურობით ჩნდებოდა. გვახსოვს, რომ სწორედ 1903 წლიდან, როდესაც აკადემიის ქართველ სტუდენტების ყურადღება მიაქცია სიძველეთსაცავის ხელნაწერების კვლევას მათმა მაშინდელმა რექტორმა ეპისკოპოსმა პლატონმა, უფრო გადაემტერენ სიძველეთსაცავს ქართველთა მოძულენი და სურდათ განიავება მისი, რაც უტყუარი ძეგლია ქართველი ერის კულტურულობისა და სულიერ ნიჭთა და ძალშია.

ვოსტორგოვი ურჩევდა ექსარხოსს ალექსის (პირველს)—სიძველეთსაცავის ნივთები გადაეცათ თბილისის სას. სემინარიის ახალ შენობაში შესანახად. თქმა არ უნდა, რომ აქედან ეს ნივთები თავს ამოყოფდენ პეტროგრადში, თვით საქართველოში კი მცირედ დაგვრჩებოდა შესასწავლად, საჩვენებლად და თავის მოსაწონებლად, მით უმეტეს, რომ იმ ჟამად არ იყო ჯერ დაარსებული ქართული საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება და მისი სიძველეთსაცავი. ამას გარდა ქართველ მეცნიერთათვის პეტროგრადში მოთავსებული ქართული ხელნაწერები ადვილად ხელმისაწდომი არ იქნებოდა. მათი სარგებლობა თითო-ოროლა ქართველს თუ შეეძლებოდა. ამ სამწუხარო მოვლენას მიაქცია ყურადღება გაზეთმა „ივერია“-მ, რომელშიაც ჩვენ დავსტამბეთ შესაფერი მეთაური წერილი სიძველეთსაცავის შესახებ. ქართველთა მტრები იმ ჟამად მოერიდნენ პრესას და საზოგადოებას და მიჩუმდნენ. ამას გარდა სიძველეთა სემინარიის ახალ შენობაში გადატანის წინააღმდეგი გახდა გრაფის უვაროვის მეუღლე, მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების თავმჯდომარე. სიძველეთსაცავის გამგე კომიტეტმაც მაშინ შესაფერი დადგენილება გამოიტანა ამავე საკითხის შესახებ. ეს დადგენილება თავის დროზე დამტკიცებულ იქმნა. ამ სახით სიძველეთსაცავი სიონის ეზოშივე დარჩა. მაგრამ კვლავ ბოლო წლებში მოეკლინა მას საშიშროება, როდესაც სიონის ეზოს გაფართოებას შეუდგნენ. საამისოდ საჭირო შეიქმნა სიძველეთსაცავის შენობის დანგრევაც. დარწმუნებული ვართ, ვოსტორგოვი რომ ამ ჟამად საქართველოში ყოფილიყო კვლავ დაფაცურდებოდა და ქამელეონისებურ ხრიკებით შეეცდებოდა თუ რამ გაუვიდოდა, ძველ ნივთების სას. სემინარიაში მოთავსებას. მაგრამ, ჩვენდა სასიამოვნოდ, აწინდელი საქართველოს ექსარხოსი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პლატონი მეცნიერულ გატაცებით ღრმად პატივისმცემელია საქართველოს სიძველეთა მიმართ. ასი მანეთი შესწირა ქართულ საისტორიო საზოგადოებას. დიდი ყურადღება მიაქცია სიონის ქართულ სიძველეთსაცავს. მან სათანადო მოხსენების შემდეგ გაიცნო ამ მწვავე საკითხის მთელი ისტორია და სამართლიანად სცნა ქართველ სამღვდელოების სიძველეთსაცავის ნივთები იქ მოეთავსებიათ, სადაც ეს მათთვის შესაფერი და შესაბამი იყო, სახელდობრ, ქართულ საისტორიო საზოგადოების სიძველეთსაცავის ოთახებში. მას ეწოდება უწინდებურად „საეკლესიო სიძველეთსაცავი“ და ექნება დათმობილი ცალკე ოთახები, მიეცემა საკუთარი ადგილი, ეყოლება უწინდებურად თავისი გამგე. როდესაც აღშენდება ქართული ეროვნული მუზეუმი, ყოვლის ეჯვს გარეშეა, საეკლესიო სიძველეთსაცავი მის თაღებს ქვეშ მოთავსებულ იქნება, როგორც ღირსეული განძი ღირსეულ ერისა. სწორედ ეს იყო ჩვენი ნატვრა. ამას სიტყვით და წერით შევტრფოდით იმ თავითვე. საეკლესიო სიძველეთსაცავის ნივთები სასულიერო წოდების კერძო კუთვნილება კი არაა, არამედ საკუთრებაა მთელ ქართველ ერისა. ერის განძი ერსვე უნდა დარჩეს.

დღეს ისღა დაგვრჩენია, რომ საეკლესიო სიძველეთსაცავის კომიტეტის საბუთიანი დადგენილება და მათი მეუფების ექსარხოს პლატონის გონივრული განჩინება განსაკუთრებულ მადლობის გრძნობით აღვნიშნოთ გაზეთის ფურცელზე.

**ილია თეზბიტელი.**

# ომის ამბები

## გრძოლის ველზე

ვერდენთან, მაასის მარჯვენა ნაპირზე, ტიუმონის სიმაგრეებთან გერმანელებს საშინელი ქარიშხალისებური ცეცხლი გაუჩაღებიათ. ვო-შაპირ-შენუას მიდამოებში რამოდენიმე იერიშის შემდეგ მათ აუღიათ კიდევაც ტყის პირის სიმაგრეები. დანარჩენ ადგილებშიაც ჩვეულებრივი საარტილერიო ბრძოლა გრძელდება.

ცხადია დღეს-დღეობით ბრძოლის ველზე მთავარ ყურადღებას ისევ ვერდენი იპყრობს. ვერც ინგლისელების და ფრანგების შეტევამ დასავლეთის ასპარეზზე, ვერც რუსეთის გამარჯვებამ და გალიციაში შეჭრამ, ვერ აიძულა გერმანელები ვერდენისათვის თავი დაენებებია და რომელიმე მოპირდაპირესთან გენერალურ ბრძოლაში ჩაბმულიყო. ზაფხული თითქმის იწურება, უეჭველია არც მარიამობისთვე იქნება მაგრე რიგად შედეგიანი ორივე მოპირდაპირეებისათვის, გარდა რუსეთისა, რომელმაც თუ კი კვლავ განაგრძო შეტევა, ადვილი შესაძლოა გალიციის ბედი გადასწყვიტოს. მაშასადამე ვერდენი ისევე განცალკევებული დარჩება და ვინ იცის, შესძლებს კი საფრანგეთი მის დახსნას.

ბევრისათვის ახლაც გამოურკვეველია ვერდენის მნიშვნელობა. აქ გაჩაღებულ ოპერაციას ზოგი მხოლოდ მორალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს. ჰგონიათ, რომ გერმანელებს ვერდენის აღებით სურთ ერთნაირი შთაბეჭდილება მოახდინონ, როგორც მოპირდაპირეებზე ისევე ნეიტრალ სახელმწიფოებზე.

შეიძლება ეს ასეც მოხდეს, მაგრამ გარდა ყველა ამისა, ვერდენის აღებას გერმანელთათვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობაც აქვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ გერმანელებმა სწორედ ამ სტრატეგიულ მოსაზრებით დაიწყეს ვერდენის ოპერაცია. საფრანგეთის ამ სიმაგრის ხელში ჩაგდებით, ისინი სამუდამოთ უზრუნველ ჰყოფენ ელზას ლოტარინგიას შეტევისაგან და სამუდამოთ ჩაჰკეტავენ იმ გზას, რომლის დაკარგვა გერმანიისათვის პირდაპირ დამღუპველი იქნება. ვერდენის დაკარგვის შემდეგ ფრანგები იძულებული გახდებიან ოპერაციები მხოლოდ ჩრდილოეთით-ღა აწარმოვონ, რაც დიდათ საზარალო იქნება მათთვის, რადგან ყოველთვის დასჭირდებათ პირისპირ ბრძოლა. ეს კი ისე შეასუსტებს ფრანგებს, რომ მანამ რეინამდის მივლენ, მათ ძალა აღარ მიჰყვებათ. აი ასე თავგამოდებით რად იცავენ ვერდენს და თავგანწირული გმირობით ჰსურთ იხსნან ეს ციხესიმაგრე.

დანარჩენ ბრძოლის ველიდან საყურადღებო ცნობა არ მოგვსვლია. რუსეთის და კავკასიის ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი**, 20 მკათათვე. ოფიციალი. რუსეთის ასპარეზი. დასავლეთის აზპარეზზე ადგილ-ადგილ თოფისა და ზარბაზნის სროლაა. მოწინააღმდეგის მცირე რაზმების იერიშებს ჩვენი ჯარი ადვილად იგერიებს. გერმანელების მფრინავებმა უსიჩის მახლობლად ყუმბარები ესროლეს ჩვენს სასანიტარო მატარებელს, რომელსაც დაჭრილები მიჰყავდა ვლადიმირ-ვოლინის და ლუცკის მიმართულებით. დაჭრილ ჯარისკაცთა შორის მოკლული აღმოჩნდა ერთი,—ხელმეორედ დაჭრილი 20 მეტი ჯარის კაცი. ამას გარდა ყუმბარები მოხვდა უსიჩის ლაზარეთს, სადაც მოკლილი აღმოჩნდა ერთი სანიტარი და დაჭრილი 8.

**კავკასიის ასპარეზი.** ჩვენი ჯარი კვლავ წინ იწევს.

**პეტროგრადი**, 20 მკათაოვე. საღამოს ოფიციალი ცნობა. რუსეთის და კავკასიის ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

**პარიზი**, 19 მკათათვე ოფიციალი. სომის ჩრდილოეთით გერმანელებს ღამის განმავლობაში იერიშები არ განუახლებიათ. ავრის ჩრდილოეთით გერმანელები ორჯელ სცდილობდნენ ლიგონის მიდამოებზე იერიშები მოეტანათ, მაგრამ ჩვენმა არტილერიამ ხელი შეუშალა. მაასის მარჯვენა ნაპირზე ტიომონის სიმაგრეებს მთელი ღამის განმავლობაში გერმანელები ზარბაზანს უშენდნენ. პონტ-ა-მუსსონის დასავლეთით ფლერის მიდამოებში გერმანელებმა სამი ნაღმი ააფეთქეს. ჩვენ, ნაღმისაგან ამოთხრილ ორმოების სამხრეთ ნაწილში გავმაგრდით. დანარჩენ ადგილებში ღამემ მშვიდად ჩაიარა.

**მფრინავთა მოქმედება.** პრაპორშჩიკმა ლენუარმა ვერდენის ჩრდილოეთით გერმანელების მფრინავი ჩამოაგდო.

**პარიზი**, 20 მკათათვე. ოფიციალი. სომმის ჩრდილოეთით გომის ტყისა და მონაკიუს ფერმის შუა ფრანგებმა მტერს სიმაგრეები წაართვეს. სომმის სამხრეთით დენიეკურას ჩრდილო დასავლეთით ფრანგებმა მტრის თხრილები აიღეს და ტყვეები წამოიყვანეს. შამპანში, ობერიკას დასავლეთით რუსების რაზმებმა მტერი გაჰფანტეს. მაასის მარჯვენა ნაპირზე ვო-შაპიტარ-შენუას ასპარეზზე მთელი ღამის განმალობაში საარტილერიო ბრძოლა არ შეწყვეტილა. რამდენიმე იერიშის შემწეობით გერმანელებმა შაპიტარისა და შენუას მიდამოებში ტყის ნაწილი აიღეს. აქ გერმანელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. ფრანგებმა 100-მდის ტყვე წამოიყვანეს, ამათში ორი აფიცერია.

**მფრინავთა მოქმედება.** სომმის მიდამეოებში ფრანგების 33 შეტაკება მოუხდათ მტერთან. მტრის ერთი მფრინავი ძირს ჩამოვარდა და დამსხვრა. დანარჩენი 14 იძულებული იყო ბინაზე დაშვებულიყო.

**ლონდონი**, 20 მკათათვე. ოფიციალი. მდ. ანკრისა და სომმის ასპარეზზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა. დანარჩენ ადგილებშიაც სრული სიწყნარეა.

## ქურნალ-გაზეთეგიდან

**რუმინეთის საზღვარზე.**

როგორც ამას წინად დეპეშამ გვამცნო, გერმანეთის ოფიციალმა სააგენტომ გამოაქვეყნა ცნობა შესახებ იმისა, რომ მალე გალიციის ბრძოლის ასპარეზზე ოსმალთა დიდძალი ჯარი მოვა რუსების წინააღმდეგ საბრძოლველადაო. ამ ცნობას გერმანეთის სააგენტო აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი გარემოება ნათლად ამტკიცებს ოსმალთა ჯარის სათანადო მომზადებას და მის მეგობრულ განწყობილებას ცენტრალურ იმპერიებთანო. სამხედრო მიმომხილველთა აზრით გერმანეთის ოფიციალური ცნობა სიმართლეა. ოსმალეთის მთავრობას მართლა აქვს განზრახვა გალიციის ბრძოლის ასპარეზზე თავისი ჯარი გადმოიყვანოს, მაგრამ საქმე იმაშია, თუ რაგვარ მაშველ ძალას წარმოადგენს ამ ჟამად ოსმალეთის ჯარი. თუნდ მხედველობაშიაც რომ მივიღოთ გერმანეთის ოფიციალ სააგენტოს აზრით ოსმალთა ჯარის საომარ ძლიერებაზე, მაინც მეტად სათუოა, რომ ოსმალები ამ მოკლე ხანში გალიციაში გაჩნდნენ. ერთად ერთი გზა ჯარის გადასაყვანი —ბერლინ-კონსტანტინოპოლის გზაა. ამ გზით ოსმალების ჯარმა უნდა გაიაროს კონსტანტინოპოლიდან ბულგარეთზე და სერბეთზე ჰუნგრეთამდის, აქედან კი რკინის გზით გალიციის ასპარეზზე მივიდეს. ამ ოპერაციისთვის სულ უკანასკნელი ერთი თვეა საჭირო და ამ ხნის განმავლობაში ომის საზაფხულო კამპანიაც დამთავრდება.

**ახალი ბრძოლა ლუცკის მიმართულებით.**

15 მკათათვის ოფიციალ ცნობით რუსის ჯარმა მტრის ბრძოლის ხაზი ორ ადგილას გაარღვია: ერთი ლუცკის მიმართულებით, მეორე—ბროდთან. ლუცკის მიმართულებით ბრძოლაში რუსების დიდძალი ჯარი იღებს მონაწილეობას და ფეხ და ფეხ მისდევს მტერს; რუსის ჯარმა ლუცკის ბრძოლის ხაზი თვით ქ. ლუცკიდან 45 ვერსის სიშორეზე გაარღვია და ვლადიმერ-ვოლინსა და სოკალს ემუქრება.

ბრედის აღებით კი რუსის ჯარს ლვოვისაკენ მიმავალი გზა ეხსნება. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მტერი აქ რუსებს დიდს წინააღმდეგობას უწევს და სცდილობს მას ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი გზა მოუჭრას.

**ბალკანეთის ვითარება.**

იმ დროს, როდესაც მთელი ქვეყნის ყურადღება რუსეთის და დასავლეთის ასპარეზზე მომხდარ დიდ მნიშვნელოვან ბრძოლებსა აქვს მიპყრობილი, ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე კვლავინდებური სიწყნარე სუფევს. მხოლოდ დრო-გამოშვებით გაზეთები იტყობინებიან, რომ იქ მოკავშირენი დიდს ბრძოლისათვის ემზადებიანო. მაგრამ თუ ფაქტიურად ბალკანეთის ასპარეზზე დიდ-მნიშვნელოვანი ოპერაციები არა სწარმოებს, სამაგიეროდ სხვა ასპარეზებზე ატეხილ ბრძოლას ბალკანეთის ოპერაციებზე დიდი გავლენა აქვს. გერმანელებმა თავისი ჯარი მაკედონიის საზღვრებიდან სხვაგან გადაიყვანეს, ავსტრიელებმა ალბანეთში და მთაშავეთში სულ მცირეოდენი ჯარი დასტოვეს, ოსმალები კი რუსეთის ასპარეზზე ატეხილ ბრძოლას და მექქაში არაბების აჯანყებას უნდებიან. ამგვარად ბალკანეთის ბრძოლის ასპარეზზე მხოლოდღა ბულგარელების ჯარი უდგას პირის-პირ მოკავშირეთა ჯარს, რომელიც დღემუდამ სალონიკის და ვალონის მიდამოებში დიდი შეტევისთვის ემზადება. ამგვარად ბულგარეთს, გაზეთების სიტყვით, მოკავშირეთა გამოლაშქრების წინააღმდეგ მარტოდ-მარტოკა გამკლავება დასჭირდება.

**ჰაეროპლანების წინაამდეგ სასროლი იარაღი.**

ერთ ამერიკულ გაზეთში მოყვანილია ცნობა იმის შესახებ, თუ როგორ აქვთ გერმანელებს მოწყობილი საფრენ მანქანების წინაღმდეგ საბრძოლველი ზარბაზნები და ტყვიისმფრქვეველნი. მომეტებულ ნაწილად გერმანელები მფრინავთა წინააღმდეგ კრუპის სისტემის 2, 3 დიუმიან ზარბაზნებს ხმარობენ. ამ ზარბაზნის სიგრძე 30 კალიბრია და გამაგრებულია ავტომობილზე, რომელსაც 6 კაცი ემსახურება. ამ ავტომობილის სიმძიმე 488 ფუთია; ცალკე ზარბაზანი კი 75 ფუთს იწონის. და წამში 20—25 ყუმბარას ისვრის. თვით ავტომობილი ჯავშან-გადაკრულია და საათში გადის 60 ვერსს.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან)

**რუსეთის ასპარეზზე: მთელ ასპარეზზე თოფისა და ზარბაზნის სროლაა. გერმანელების მფრინავმა უსიჩის მახლობლად რუსების სასანიტარო მატარებელს ყუმბარები დაუშინა. დაჭრილია 8 სანიტარი, მოკლულია ერთი.**

—

**კავკასიის ასპარეზზე: რუსის ჯარი წინ იწევს.**

—

**ინგლისის ასპარეზზე: საარტილერიო ბრძოლაა.**

—

**საფრანგეთის ასპარეზზე: ვო-შენუას ბრძოლის ასპარეზზე გერმანელებმა ნაღმები ააფეთქეს და ტყის ერთი ნაწილი დაიჭირეს.**

## უკანასკნელი დეპეშები

**კაიზერს თათბირი ჰქონდა. თათბირს დაესწრნენ კანცლერი, ჰინდენბურგი, მაკენზენი და ფალკენჰაიმი. თათბირზე არკვევდნენ საერთო პოლიტიკურ მდგომარეობას.**

—

**ბალაჯარაზე გაატარეს 600 ტყვე ოსმალო. უმეტესი ნაწილი რუსულს კარგად ლაპარაკობს. ამბობენ, ესენი გადაცმული ბულგარელები არიანო.**

—

**„რ. სლოვოს“ კორესპონდენტი იტყობინება: მოკავშირე სახელმწიფოებს რუმინეთთან მოლაპარაკება არ დაუსრულებიათ და რუმინეთი ისევ გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებაო. რუმინეთის მეფე ნეიტრალობას იცავს.**

—

**ვარნაში 5 ოსმალეთის პოლკი მიიყვანეს.**

—

**მცირე აზიის კუნძულზე თვრამეტ წლიანების მობილიზაცია გამოაცხადეს. ოფიცრები ჯარში არ ცხადდებიან. სმირნასა და მის მიდამოებში ხოლერა მძვინვარებს.**

—

## რუსეთი

**უმაღლეს მთავრობას გადაუდვია კავკასიის მეფის მოადგილის განკარგულებაში 600,000 მანეთი ომისაგან დაზარალებულ მაჰმადიანთა დასახმარებლად.**

—

**მთავრობას გარდაუწყვეტია ჩრდილო კავკასიის ადმინისტრატიული დანაწილების შეცვლა. განზრახულია შავი ზღვის გუბერნიის საზღვრების გაფართოვება და აგრეთვე სტავროპოლის გუბერნიის მოქცევა კავკასიის მეფის მოადგილის უფლების ქვეშ.**

—

**ვაჭრობის სამინისტროს წარუდგენია მინისტრთა საბჭოში დასამტკიცებლად წესდება თავ. პ. მ. ვოლკონსკის საააქციონერო საზოგადოებისა „კავკასიის მარგანეცი“ 300.000 მანეთის თანხით.**

—

**მინისტრთა საბჭომ 87 მუხლის ძალით დაამტკიცა კანონი, რომლითაც სამი ათასი მანეთის ჯარიმით ან სამი თვის ციხით ისჯება ბინებზე ფასის ამწევი.**

—

**პოლონელების ომის დამხმარებელ საზოგადოებათა მიერ წარდგენილი ხარჯთ-აღრიცხვანი მთავრობას შესამჩნევად შეუმოკლებია.**

—

**ამ ჟამად მოსკოვში სწარმოებს რევიზია იმ დაწესებულებათა, რომელთაც სათავეში უდგა ცნობილი ვოსტორგოვი.**

—

**პეტროგრადში დაჭერილ ბანკირებს ბრალდებათ, სხვათა შორის, რუსეთის ქალაქის ფულის იაფად გასაღება გერმანიაში.**

—

**საარტილერიო უწყებამ გადასწყვიტა შეუკვეთოს ამიერიდან ყოველივე სამუშაო პირდაპირ მექარხნეებს გარეშე ქალაქთა და საერობო კავშირის შუამავლობისა.**

## ასოთ-ამწყობთა ფელავათი

ოდესიდან „კიევს. მისლს“ სწერენ: სამხედრო სამსახურში გაწვეულათვის ვადის მომცემმა მთავარმა კომიტეტმა ოდესის კომიტეტს აცნობა: გაზეთზე მომუშავე ასოთ-ამწყობნი სახელმწიფოს თავდაცვის საქმის მსახურებად ჩასთვალეს და ჯარში გაწვევის ვადას გაუგრძელებენო.

## ახალი ამბავი

**✦ თბილისის გუბერნატორის განცხადება.** მეფის ნაცვლის ნებართვით ნიხრთა შესადგენათ სხვა და სხვა სამანუფაქტურო საგალანტერიო და სხვა საჭირო მოტანილ საქონელზე არსდება ჩემს გამგებლობით შეერთებული კომისია ვაჭართა, ბეჭდვითი სიტყვის და ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელთა მონაწილეობით, ვინაიდან თბილისის ფასები ყველა ამ საქონელზე დაკავშირებულია ალაგობრივ ფასებთან, საიდანაც ეს საქონელი მოდის და ხშირადაც იცვლება. ამის გამო თვეში ერთხელ ეს კომისია განიხილავს და შესცვლის ხოლმე ამ ფასებს თანახმად იმ ფასებისა რომელიც ალაგობრივ არსებობს. ყოველ გვარი განცხადებანი ამ საქონლებზე ფასების ხელოვნურად აწევის შესახებ განხილულ იქნება ამ კომისიის მიერ. სანოვაგეზე და პირველ მოთხოვნილების საგნებზე ნიხრის დადება კი ისევ წინანდელ პირობებში, სასურსათო კომიტეტების და ქალაქის გამგეობის ხელში რჩება.

**✦ გუბერნატორთა ყრილობა.** 20 ივლისს დამთავრდა კავკასიის გუბერნატორების, ოლქის უფროსთა ყრილობა. ყრილობამ შეიმუშავა სხვა და სხვა ზომები საკვებ და სათეს ნივთიერებათა შემოტანის გასაადვილებლად.

**✦ ობერ-პროკურორი უწ. სინოდისა ა. ი. ოლოვინი,** თვის კანცელარიის დირექტორის ბ-ნ. ... საგანგებო მინდობილობით მიეფინა, დ. პ. მიშეცკის და მონასტრების კვეთილ მოწესრიგე არქ. ნაზარის ერთად გუშინ ბოდბის მონასტერის დასათვალიერებლად გაემგზავრა კახეთს.

**✦ მოხსენება ეპისკოპოზ ლეონიდისა.** გურია სამეგრელოს ეპისკოპოსმა ყოვლ. სამღვდელო ლეონიდმა თბილისში ყოფნის დროს შუამდგომლობა აღძრა ვრცელ მოხსენებით ობერ პროკურორის წინაშე რათა მთელ სამღვდელოებას გურია სამეგრელოისას ჯამაგირები დეენიშნოთ წლიურად 600 მან. მღვდლებს ხოლო მედავითნებს 200 მანეთი. ობერ პროკურორმა აღუთქვა ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

**✦ სიონის ტაძრის** კარმიდამოს გასამშვენიერებლად საქართველოს ექსარხოსმა ობერ პროკურორს ამ ტაძრის ადგილობრივ დათვალიერების შემდეგ სთხოვა დახმარება 30,000 მანეთით, რაზედაც ობერ პროკურორმა სრული დახმარება აღუთქვა.

**✦ გაემგზავრა** თავის ეპარქიაში ყოვლ. სამღვდ. ლეონიდი ეპ. გურია-სამეგრელოსი.

**✦ იმერეთის და გურია-სამეგრ. ეპარქიების** დასათვალიერებლად ობერ პროკურორი უწ. სინოდისა გაემგზავრება კახეთიდან დაბრუნების შემდეგ.

**✦ რომთა საქათოლიკო ეპ.** ბარონ როოპს ამ თვის ბოლოს მოელიან.

**✦ დასასვენებლად წასული არიან** ქალაქის მოურავი და გამგეობის წევრი გ. ჟურული. გამგეობაში დარჩენილი არიან ა. მ. არღუთინსკი, მ. ა. ჯაბარი და ბ-ნი ათაბეგოვი.

**✦ ვაჭართა შორის.** თავის უკანასკნელ კრებაზე ვაჭრებმა აირჩიეს ორი კომისია. პირველს დაევალა სამანუფაქტურო საქონლის ნიხრის შედგენა, ხოლო მეორეს საგალანტერიო საქონელზე. ორთავე კომისიას მტკიცედ დაევალათ შეიმუშაონ ნიხრი ნორმალური და სამართლიანი.

**✦ სასოფლო სამეურნეო ნაწილის** ინსპექტორი ამიერ კავკასიაში ს. ნ. ტიმოფეევი გაემგზავრა როსტოვში საგრანომიო თათბირზე, რომელზედაც შემუშავებულ უნდა იქმნეს სპეციალურ საგრანომო მატარებლის დანიშნის საკითხი ამიერ კავკასიის რკინის გზებზე.

**✦ მეღვინეობის და მევენახეობის** თბ. საგუბერნიო კომიტეტის თავჯდომარე კორვინ პავლოვსკი გაემგზავრა ახალციხის მაზრაში.

**✦ სასოფ.-სამეურნ. აღწერა** ბაკურციხის საპოლიციო ნაწილში, სიღნაღის მაზრა, ამ თვის 25-ში თავდება, ხოლო გორის მაზრაში ამთვის ბოლოს.

**✦ ღვინის მოსავალს** კახეთში კარგი პირი უჩანს თითქმის ყველგან, ხოლო ქართლში საუკეთესო, ბორჩალოს მაზრაში საშუალო, განჯის გუბერნიაში მშვენიერი, ერევნისაშიაც ამნაირი.

**✦ მიწადმოქმედების** დეპარტამენტმა ნება დართო ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო საცდელ ადგილის გასამართავად ს. კულაშში 5 დეს. მიწა დაეთმოს იჯარით თ-დ მიქელაძის მამულიდან.

**✦ ახალი წიგნი.** დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ გამოცემული „ლექსები და პოემები“ გ. ქუჩიშვილისა. წიგნი შეიცავს 169 გვერდს, სუფთად არის დაბეჭდილი და ფასობს 40 კაპ.

**თელავი.**

15 ამ თვეს ღამით, ძალიან დაისეტყვა წინანდლის, გძელი მინდვრის და თელიანის მამულები; როგორც მნახველებმა გადმომცეს, ისე საშინლად გაუნადგურებია ზვარ-ვენახები, რომ ორ-სამ წელიწადსაც ველარ ივარგებსო.

— აქაურ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობამ ეკატერინოდარიდან 17 ვაგონი სიმინდი მიიღო.

— აქ შესდგა ბ-ნ რ. ნარეკლის მეთაურობით სცენის მოყვარეთა წრე, რომელსაც განზრახვა აქვთ ჰმათონ მთელი ზაფხულის განმავლობაში იაფ ფასიანი სახალხო წარმოდგენები.

— ჩვენმა მოვაჭრეებმა თბილისის ამბები რომ გაიგეს, ელდა ეცათ. დაფაცურდნენ მაშინვე და იმის შიშით რომ აქაც არ მომხდარიყო იმგვარი ამბები, მთელი საქონელი სადღაც გადამალეს.

## ეროვნული მოძრაობა

უცხოეთის და რუსეთის ეროვნებანი უკვე შეუდგნენ სათანადო მზადებას, რათა მათი საკითხი გარდიქცეს საერთაშორისო პოლიტიკის საგნად ომის დასრულებისას.

შეუდგენიათ ეროვნული „ლატიშური კომიტეტი“, რომელიც მო-

ქმედებს შვეიცაციიდან. კომიტეტის თავმჯდომარეა ცნობილი ლატიში ემიგრანტი რაინისი.

კომიტეტმა გამოაქვეყნა თავის პროგრამა, რომელიც ითხოვს, რომ ლატვიას (ასე ეძახიან თვით ლატიშები თავიანთ სამშობლოს) მიენიჭოს ავტონომიური წყობილება. რათა გაქარწყლებული იყოს ცრუ ცნობანი ლატიშთა ეროვნულ მოძრაობის შესახებ, კომიტეტი გამოსცემს განსაკუთრებულ „მემორანდუმს“ ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

ამის გარდა ლატიშთა კომიტეტი გამოსცემს საგანგებო ლატიშურ გაზეთს.

**ირლანდიის** საკითხი ისევ ისე გამოურკვეველი რჩება.

ლოიდ-ჯორჯის დაპირება—ირლანდიელ ნაციონალისტებს შევათანხმებო—არ გამართლდა და ირლანდიაში კიდევ სამხედრო წესებია გამეფებული.

ახლა როგორც დეპეშა გვაცნობებს, ინგლისის მთავრობას დაუნიშნავს ირლანდიის სტატს-სეკრეტრად სამეფო საბჭოს წევრი დიუკი, რომელიც მომხრეა ირლანდიელებთან შეთანხმების.

დიუკს მინდობილი აქვს დაწვრილებით გაეცნოს ირლანდიის მმართველობას; მის ხელში იქნება მთელი სამოქალაქო გამგეობა ირლანდიისა.

## ომი და ჩვენი სოფელი

სრული ორი წელიწადი გახდა, რაც საშინელი ომი დაიწყო, რომელმაც მრავალი ცვლილება შეიტანა ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უპირველეს ყოვლისა ომის საშინელი ტვირთი სოფელს დააწვა.

იშვიათია ისეთი კაცი, რომელიც სოფლის ცხოვრებას ცოტათ თუ ბევრად არ იცნობდეს, არ ეცხოვროს სოფლად და თუ ბედმა რომელიმე პირი ომის დაწყებიდან სოფელს მოსწყვიტა, იგი ძნელად წარმოიდგენს მის დღევანდელს სურათს.

თანამედროვე ომმა ისე მკაფიოდ წამოაყენა საკითხი ბრძოლა არსებობისათვის, რომ ცოტაოდენ შეგნებულმა კაცმაც კი მიატოვა სოფელი, როგორც ნაკლები მასაზრდოებელი ძარღვი და ქალაქს მიაშურა. ჩვენი სოფელი, კერძოთ კი ქართლისა, ომამდინაც ღატაკი იყო ინტელიგენტთა რიცხვით და დღეს ხომ სავალალო სურათს წარმოადგენს.

ქართველ ინტელიგენციას, რომელიც ჯერ-ჯერობით რუსეთის მხედრობას გადარჩენია, ქალაქში მოუყრია თავი და ნაკლებ გრძნობს სოფლის ტკივილს.

ჩვენი მეურნეობა, რომელიც ქართველი ერის დედა ბოძს წარმოადგენს, დღეს უკიდურეს პირობამდე მივიდა.

მის შემდეგ, რაც ომმა სოფელს მასაზრდოვებელი მუშა ხელი მოსწყვიტა, მას ძალა ველარ შესწევს მიწა სულმთლად დაიმუშაოს.

ვენახი, რომელიც პატრონისაგან მეტ ყურადღებას ითხოვს უყურადღებოდ არის დატოვებული. ერთ გვარ ზრუნვას შეჩვეული ვაზი კი ახალ პირობებს ვერ ეგუება და ხმება, ან არა და ნაყოფს ჩვეულებრივად აღარ იძლევა. ამ გვარად რამდენიმე წლობით გაშენებული ვენახი ერთ-ორ წელიწადში სულმთლად ნადგურდება.

ანავე სურათს წარმოადგენს ჩვენი ბაღებიც. თუ ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში მებაღეობა დიდ მეტოქეობას უწევდა მევენახეობას, დღეს ამ დარგშიაც სხვასა ვხედავთ. ამ ორი სამი წლის წინად სოფელი ბაღებით იმოსებოდა და გვეგონა რომ ჩვენი მხარე ბაღების ტყეებში გაეხვეოდა, მაგრამ ომი დაიწყო თუ არა მეხილეობა ერთ წერტილზე შეჩერდა და მშვენივრად დამუშავებული ბაღები მოუვლელობის გამო განადგურების გზას ადგიან. სანერგე ბაღები ქართლში ბბ. ხეთაგურისა (ს. ქვემო-ნიქოზში), ავსარქისოვებისა (სკრაში) და სხვებისა, დღეს ნაკლებ მუშაობენ და ნამყენი და სანერგე ხეები მცირედ ვრცელდება, რაც ნათლად ჰმოწმობს მებაღეობის შემცირებას.

ეხლა მინდრვებს გადავავლოდ თვალი. დაუმუშავებელი მინდორი, მოტრუსული ბალახით, გულს უზარავს ადამიანს. თუ დღეს ამას ვხედავთ, შემდეგ როდესაც ახალი ჯარის გაწვევით მუშა ხელი უფრო შემცირდება, უარესობას დავინახავთ.

სოფელი მარტო მუშა ხელს კი არა ჰკარგავს, არამედ საქონელს და ურემსაც, თვის განუყრელ მეგობრებს. ამასაც ხელს უწყობს სიძვირე, რომელიც ომის თანამგზავრია. უღელი ხარი, რომელიც ომამდე ათი თუმანი ფასობდა დღეს ოცდა-ათ თუმნად იყიდება, ასეა ყველაფერი.

გლეხკაცი იაფობას შეჩვეული ხარბობს ფულს და დაუნდობლად ჰყიდის საქონელს, ის კი არ იცის ან მის ქაღალდების ფულს, უფრო კი მის დაცარიელებულ ოჯახს რა მოელის. ამ უკანასკნელ თვეში სოფელი თავის ავლა დიდებას უფრო გაფაციცებით ჰყიდის. ამას ხელი შეუწყო ქონების და საქონლის აღწერამ, რომელიც ეს სამი კვირაა ქართლში დაიწყეს. ხალხში ხმა გავრცელდა რომ ზედმეტ საქონელს მთავრობა წაართმევს და ცდილობს ქონება მიჰყიდ-მოჰყიდოს.

ამ გვარად სოფლის მასაზრდოებელი წყარო ნელ-ნელა ჰქრება, რაც მომავალში მას დიდ საფრთხეს უქადის. მერე ჰყავს ვინმე გულის შემატკივარი სოფელს, რომ საქმის ვითარება ხალხს აუხსნას და მომავალ უბედურებისაგან იხსნას?

მაშინ, როდესაც ქალაქში მცხოვრებთ თვითმმართველობა და სხვა მრავალი ორგანიზაციები ახლო ჰყავს და საშუალება აქვთ თავიანთი გულის წყრომა, ან სურვილი მათ განუცხადონ, სოფელი ღვთის ანაბარად არის მიტოვებული და დიდ გასაჭირს განიცდის. საჭიროა სოფელს ყურის გდება, ეს კი ძნელია კერძო პირმა, ან კიდევ დაწესებულებამ თავს იდვას. საჭიროა თვით მთავრობამ ყურადღოს სოფლის გასაჭირი, მით უფრო რომ მისი მასაზრდოებელი სოფელია. ეკონომიურად დაცემული სოფელი, იგივე მთავრობის სისუსტეს წარმოადგენს. ჩვენის აზრით საჭიროა სოფლად ისეთი დაწესებულებები დაარსდეს, რაც მას ეკონომიურად დაცემისაგან იხსნის. ამ გვარ დაწესებულებად ჩვენ **ერობას** ვთვლით.

ერობის საჭიროება ჩვენში ჯერ ისე არ წამოყენებულა, როგორც ეხლა და თუ მთავრობა ეხლა იძუნწებს და ხალხის სურვილს ანგარიშს არ გაუწევს, უფრო ძნელია ვიიმედოთ მომავალში.

**ჩ. კაპანაძე.**

## დაგა-სოფლები

**ს. აძვი** (ქართლი). ეს სოფელი დაშორებულია ქ. გორს 19—20 ვერსით. საღი ჰაერი, მშვენიერი მინდვრები და ეგრედ წოდებული წმ. გიორგის მუხის ტყე—მშვენიერ საგარეაკო ადგილათ გაჰხდიდა ამ სოფელს, რომ წყალი საკმარისი ყოფილიყო. ერთი პატარა მოწანწკარე რუს ამარაა ეს სოფელი. წყლის სიმცირეს, მთელი სიმწარით, უფრო მამული განიცდის: მშვენივრად დამუშავებული ვენახ-მინდორი გვალვის დროს ნაცრის ფერს იღებს და თუ წვიმამ დროზე არ მოუსწრო, მთელი წლის მოსავალი ხელიდან ეცლებათ ხოლმე.

აქ მოწანწალე ჩარჩები ისე გრძნობენ თავს, როგორც საკუთარ სახლში. სოფლელებსაც ისე ჰყავთ მიღებული „ჩვენი არშაკა, კარაპეტა, ისაკა„ და სხ. და ეს „თავიაანთი“ არშაკ-კარაპეტ-ისაკეები ნელ-ნელა და ცოტ-ცოტაობით აცლიან ხელიდან წლის მოსავალსა. ნახევარი ჩანახი პური ან ქერი უნდა მისცეს ორ გირვანქა ნავთში, ან ერთ გირვანქა ძაღაში (საღებავია) ერთი ჩანახი პური (ჩანახი ნახევარ ფუთს უდრის) იმიტომ, რომ „ყველაფრის სიძვირეა და ყველაფერს ცეცხლი უკიდია“. ჩვენი გულუბრყვილო სოფლელებიც ასე ამართლებენ ამ გაუმაძღარ მაწანწალებს:—რა ჰქნან, თითონაც ძვირათ ჰყიდულობენ საქონელს, იაფად რო გაჰყიდონ რა სარგებლობა ჰნახონო!

ხშირად შეხვდებით სოფელში გავლის დროს ამისთანა სცენებს: გზის პირად ზის მეწვრილმანე დედაკაცებით შემობორბლილი. ყოველს მათგანს მოუტანია ჩანახით ქერი, პური, ერბო და ყველი. მეწვრილმანე ნაცადი თვალით შეატყობს საქონელს და ლილას, შაბს ან კიდევ სხვა რამეს შეაძლევს, მერე კევის ნატეხს მიუმატებს და მორჩა! ჩალის ფასად ჩაგდებულ საქონელს გვერდზე მოიდგამს.

დროა ამ სოფლელებმაც გაახილონ თვალი და კავშირი შესწყვიტონ „თავიანთ“ ისაკ-კარაპეტ-არშაკებთან. ყოველივე საჭიროებისათვის შეუძლიანთ მიჰმართონ კოოპერატიულ დაწესებულებას ს. მეჯვრისხევში, რომელსაც აძვი თითქმის გვერდში აკრავს.

ერთი თვეა რაც აძვში საქონლის ჭირი გაჩნდა და თუმცა ყოველი ღონისძიება მიღებულია და ექიმიც კაი ხანია აქ არის, ჭირი მაინც მძვინვარებს კვლავინდებურათ.

**მიხეილ დედაბრიშვილი.**

## თეატრი

**ხარფუხის კლუბი.**

შაბათს, 23 მკათათვეს „ხარფუხის კლუბში“ გაიმართება საგულისხმო შინაარსის, **სალიტერატურო-სამუსიკო საღამო** სამს განყოფილებად. მონაწილეობას მიიღებენ: კოკი აბაშიძე, ელო ანდრონიკაშვილი, მამედ ბეგ-აბაშიძე, ს. მგალობლიშვილი, ა. ადამიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ქუჩიშვილი, პ. ლეჟავა, ი. გოძიაშვილის მომღერალთა გუნდი და სხვანი.

## წერილი რედ. მიმართ

**ბატონო რედაქტორო!**

გაზეთ „თანამედროვე აზრის“ მე 139 ნომერში იყო მოთავსებული ბატ. „ვერცხლის წყლის“ წერილი ჭიათურაში მეურმეების გაფიცვის შესახებ, რომელშიაც, სხვათა შორის, წერილის ავტორი ირწმუნება, ვითომც, მე გაფიცულ მეურმეების წინააღმდეგ მიმეღოს მონაწილეობა და ამის გამო სხვა და სხვა უკადრის საშუალებებისათვის მიმემართოს. ვითომც: კანტორებში ვეწეოდი აგიტაციას, პოლიციაში დავძვრებოდი, ბოქაულს ვსთხოვდი მეურმეების წინააღმდეგ ზომების მიღებას, ჟანდრებს ვეჩურჩულებოდი, გამოუცდელ ბოქაულს, როგორც ყოფილი მაზრის უფროსად, ჩემს გამოცდილებას ვუზიარებდი და სხვა... და ბოლოს ბატ. „ვერცხლის წყალი“ ირონიულად სოციალისტად მიწოდებს.

ამ წერილის საპასუხო წერილი დაუყონებლივ გავგზავნე ხსენებულ გაზეთის რედაქციაში, რომლითაც ბატ. „ვერცხლის წყალს“ სამედიატორო სამართალში ვიწვევდი, მაგრამ ასეთი ჩემი წერილი რედაქციამ არ დასტამბა და არც მაქვს იმედი იმის დასტამბვის, ვინაიდგან ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები არ დამტკიცდება და გამოაშკარავდება ის, რომ ბატ. „ვერცხლის წყალს“ სულ სხვა მიზეზების და მოსაზრების გამო, და არა მეურმეების ინტერესების დასაცველად, გამოულაშქრია ჩემ წინააღმდეგ.

ამისათვის გთხოვთ, ბატ. რედაქტორო, ამ წერილს მისცეთ ადგილი თქვენ პატივცემულ გაზეთის ერთ ერთ მახლობელ ნომერში, ჭეშმარიტების აღსადგენად.

მე ვამტკიცებ, რომ მეურმეების გაფიცვის საქმეში არც მალულად და არც აშკარად არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია. მართალია, ერთხელ, რიცხვი არ მაგონდება, ადგილობრივმა ბოქაულმა მიმიწვია მოსალაპარაკებლად ერთ კრებაზედ, რომელზედაც ჰყავდა მიწვეული მრეწველები და მეურმეები, მაგრამ მე იმ კრებას არ დავსწრებივარ, ეგრეთვე იმ კრებასაც, რომელიც მოეხდინა, რამდენიმე დღის შემდეგ, მაზრის უფროსს. ეს კი ვიცი რომ მეურმეებს, როდესაც გაფიცვა განეზრახათ, ჩემთან გამოეგზავნათ კაცი მოსალაპარაკებლად მაგრამ ის ვიღაცას არ გამოეშვა ჩემთან.

იმედი მაქვს ამას დამიდასტურებენ ის მეურმენი, რომელნიც ამ კრებებს დაესწრენ.—

და რომ ეს ასეა, ამის დასამტკიცებლად ვითხოვ ბატონ „ვერცხლის წყალს“ სამედიატორო სამართალში. მედიატორებად ჩემის მხრით ვნიშნავ ნაფიც-ვექილის თანაშემწეს მიხეილ ნესტორის-ძე მასხულიას და ევსევი დავითისძე თოდუას. „ვერცხლის წყალმა“ თვის მხრით, ათი დღის განმავლობაში, დღიდგან ამ წერილის დაბეჭდისა, უნდა დანიშნოს მედიატორები და ამ ოთხმა მედიატორებმა უნდა აირჩიონ მეხუთე—თავმჯდომარედ.

მედიატორებმა უნდა გამოიკვლიონ საქმის გარემოება და თავის განაჩენი გამოაქვეყნონ პრესსის საშუალებით.

ჩვენ შორის ვინც გამტყუნდება იგი იხდის ჭიათურის დრამატიული საზოგადოების ფონდის სასარგებლოდ ხუთ თუმანს.

რაც შეეხება ოდეს-ღაც ჩემს მაზრის უფროსად ყოფნას, მე მგონია ეს ბოროტებად არ უნდა ჩამეთვალოს, თუმცა მე იმაზედაც თანახმა ვარ პასუხი ვაგო მაშინდელ ჩემს მოღვაწეობაში, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო თვრამეტ-ოცი წლის წანად. მე ამ მოვალეობის აღსრულებაში არავითარი, **ჩვეულებრივი პოლიტიკური**, უკადრისი მოქმედება არ ჩამიდენია და ხალხისთვის გარდა სარგებლობისა და ერთგულობისა არა მომიტანია-რა, რისაც, იმედი მაქვს, დამიმოწმებენ მთელი გურიის მაზრის მცხოვრებლები, სადაც მე ვმსახურებდი. მე არა თუ ეხლა, არამედ იმ დროსაც არ მქონია ჩვეულებად ჟანდარმებთან ჩურჩულის და მათი საშუალებით ვისიმეს შევიწროება და აწიოკება.—ყოფილა ისეთი შემთხვევები, რომ მე პოლიციელების და სხვა მოხელეების უსამართლობისაგან დამეხსნას კერძო პირები და მთელი საზოგადოება. ამით მე თავს არ ვიქებ, რადგანაც მე ვასრულებდი ჩემ წმინდა ადამიანურ მოვალეობას მიუხედავად იმისა, რომ პოლიციელის მუნდირი მეცვა.

მართალია, ეხლაც ხანდისხან შემხვდება ხოლმე პოლიციელებთან და ჟანდარმებთან გამოლაპარაკება, მაგრამ არა იმიტომ რომ ვისმეს მიუსიო იგინი, არამედ მათ საშველებლად, ვინც ამა თუ იმ შემთხვევის გამო მათ ხელში ჩაუვარდებათ. ამის მოწმენიც ბევრნი არიან.

ჩვიდმეტი წელიწადი სრულდება რაც დაბა ჭიათურაში ვარ დაბინავებული. ამ ხნის განმავლობაში არა ერთსა და ორს სერიოზულ გაფიცვებში მიმიღია მონაწილეობა, როგორც მომრიგებელ კომისიების თავმჯდომარეს, ყოველთვის სასურველად დამიმთავრებია გამწვავებული გაფიცვები და ვცდილვარ რომ პოლიციას თავის ჩამორევით და რეპრესიული ზომებით უფრო არ გაემწვავებია საქმეები.

იმედი მაქვს ამას დამიდასტურებენ თვით მუშები და სხვანი ბევრნი.

ამის გარდა არა ერთი და ორი პოლიციის ეკზეკუციით ასაწიოკებლად გამზადებული სოფლები (კერძო პირები რომ არ მივიღოთ სახეში) ჩემის შუამდგომლობით გადამირჩენია აწიოკებას და აოხრებას.

ამის მოწმეებიც ბევრნი გახლავსთ. ვინც კი მიცნობს, მან კარგად იცის, რომ მე ერთი ყოველ დღიური კალმით მუშა კაცი ვარ, ჩემი სახლის კარები მუდამ ღიაა, როგორც მდიდრებისთვის, ისე ღარიბებისათვის, როგორც თავად-აზნაურებისათვის ეგრეთვე გლეხების და მუშებისათვის, და მუდამ მზად ვარ ჩემი ცოდნის და შეძლებისა დაგვარად ყველას საჭირო დახმარება გავუწიო, თუკი ვინმე მომმართავს მე ამისათვის. მაგრამ დავანებოთ ამაზედ ლაპარაკს თავი, ამის მსჯავრის დადება თვით ჭიათურის საზოგადოების სინიდისისათვის მიმინდვია განურჩევლად წოდებისა, შეძლებისა და მიმართულებისა.

უკანასკნელად არ შემიძლიან არ აღვნიშნო ბატ. „ვერცხლის წყლის“ ზემო ხსენებულ წერილში ჩემი ირონიულად სოციალისტად მოხსენება. მე მგონია დიდ მომაკვდინებელ დანაშაულობად არ უნდა ჩაეთვალოს კაცს ის თუ სოციალისტი არ არის. მე ჩემი თავი სოციალისტობით არასოდეს არ მიქია, მაგრამ ეს იმას კი არა ნიშნავს, რომ მე არავითარი კარგი და კეთილი არ მწამდეს, ცხოვრებას და საზოგადო საქმეებს და ინტერესებს უსათუოდ უკეთესმართი თვალით ვუყურებდე. მე ვარ ერთგული მამულიშვილი, მრწამს, ვეტრფი და ვემსახურები იმ უმაღლეს იდეალს, რომელსაც მოაქვს სამშობლო ქვეყნის აღორძინება და მომავალი ბედნიერება. მე მზად ვარ შეძლების ფარგალში საქმით ვემსახურო საზოგადო ინტერესებს და არა მარტო ლიტანი სიტყვების რახარუხით, როგორც ზოგიერთებს სჩვევიათ.

**ალ. ი. გამრეკელი.**


რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**



## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 | „ დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | № 3, | 7 „ | 58 | „ საღ. |

## თუ გსურთ, მიმართეთ

**ცნობის ბიუროს**

## ი. თ. გვათუასას

**თბილისი, ვერის დალმართი,**

სახლი მელიქ აზარიანისა № 1

**შუამავლობას ეს კონტორა**

**გასწევს როგორც ქალაქელთა**

**ისე ქალაქ გარეშელთათვის**

ყველა საქმეს კონტორა სწრაფლ და პირნათლად ასრულებს.

**ხელმისაწვდენ ფასებში**

**მისამართი პროვინციელთათვის:** Тифлисъ, Верійск. спускъ И. Т. Гватуа, Справочная контора.

ღვინის საწყობი

## ნიკო გ. სესიაშვილისა

**იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი**

## კახური ღვინო

**განვის ქუჩა № 4.**

სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა.

(185—წ.)

საუკეთესო კახური

## ღვინის საწყობი

**ადამ ზურაბის ძის**

## ბერელაშვილისა

**მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.**

(102—წ.)

ქ. ბაქოში

## ღვინით ვაჭრობა „მელაანი“

**თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.**

**იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები**

(112—წ.)

საგალანტერიო მაღაზია

## ერ. ივ. ჭავჭანიძისა და ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

**იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:**

**ჩულქეულობა, ქოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი**

(101—წ.)

## ფეიმის საწყობი

**ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა**

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

**ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ**

## საკუთარი ტყიდან

**საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც**

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა ტ. ფიგ. **მადაზია**

## „განათლება“-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება ავრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „საქართველო“, „ეშმაკის მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“,“, „სახალხო ფურცელი“, „ზვირთი“, ჟურნ. „განათლება“ კავკაზსკოე სლოვო „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзэ.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

## თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვილ“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „**შეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი **კონსერვები** და **სარდინკები** რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა **ხანგრძლივ ინახება.**